ეროვნული ბიბლიოთეკა

833
1952

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE“
MENSUEL

N° 4 | მაისი 1952 — AVRIL 1952 | N° 4

## საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილება

(12 მარტი 1919 წ.)

„საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 სათ. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს“:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იკისრეს თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

ბიბლიოთეკა
LIBRARY

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

## ოცდაექვსი მაისისათვის *)

1918 წელი, 26 მაისი. ნაშუადღევის 3 საათია. უკანასკნელი სხდომა ამიერ-კავკასიის სეიმის. ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა გაუქმდა, დაიშალა. სამ საათზე და 45 წუთზე იხსნება საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, ესწრება 42 წევრი და 36 კანდიდატი. სასახლის საუკეთესო დარბაზის ლოჟებსა და გალერეაში მრავალი საზოგადოებაა. არიან სხვა და სხვა ერების წარმომადგენელნი. ესწრება გერმანული ჯარების უფროსი ფონ დერ შულენბურგი. ერთ-ერთ ლოჟაში ზის თფილისის მიტროპოლიტი ლეონიდე თანმხლებელ სასულიერო პირებით. მრავლად არიან ქართველი ოფიცრობაც. სასახლის წინ და ახლო-მახლო ქუჩებში დიდ-ძალი ხალხია თავმოყრილი. სასახლის სახურავზე პირველად ფრიალებს ქართული სამფეროვანი დროშა. ასეთივე ორი დროშა ამკობს თვით დარბაზის იმ კედელს, რომელთანაც ზის საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია პრეზიდიუმის წევრებითურთ. როგორც კი ისინი იჭერენ თავის ადგილს, ყველანი ფეხზე დგებიან და იმართება არა-ჩვეულებრივი ოვაცია. თავმჯდომარე იწყებს სიტყვას, ახასიათებს ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრივ წარსულს, პატივისცემას სხვა ხალხებისადმი, და გამოთქვამს რწმენას, რომ ბოლოს და ბოლოს დაარსდება კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ამის შემდეგ ეროვნული საბჭოს სახელით აქვეყნებს დამოუკიდებლობის ცნობილ აქტს.

ამ ისტორიულ აქტს ყველა დამსწრენი ფეხზე მდგომარე ისმენენ. ხელ-ახლა იმართება დიდებული ოვაცია. აქტი მტკიცდება ერთხმად. საბჭოს წევრნი მას ხელს აწერენ. დაიწყო მისასალმებელი სიტყვები ერების და პარტიების წარმომადგენლებისგან, მათ შორის გერმანელ ოფიცერი კაიზერის, ; რომელიც მისი იმპერატორის სახელით ულოცავს ქართველ ერს თავისუფალ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. ყველა სიტყვებს დამსწრენი დიდი ზეიმით ხვდებიან. მოთავედა სიტყვები და თავმჯდომარის განკარგულებით ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი გადის სასახლის აივანზე, რომელიც მორთულია ეროვნული დროშებით და სადაც საპატიო ყარაული სდგას და იქიდან უკითხავს ხალხს დამოუკიდებლობის აქტს, რაც იწვევს უდიდეს სიხარულს და აღტაცებას.

საღამოს, ქართული თეატრის ბაღი, მშვენიერი მცენარეულობით მოკაზმული, ნაირ-ნაირი ელექტრონის ლამპებითაა გაჩირაღდნებული. გრძელ ხეივანში დადგმულია გრძელი სუფრა. სუფრის შუაგულში ერთმხარეზე სტუმრები, ხოლო მეორე მხარეზე ახლად აღორძინებული საქართველოს პირველი მთავრობის წევრებია ნოე ჟორდანიას მოთავეობით.

ნადიმის დროს სდგება გერმანელი ჯარების უფროსი და ფრანგულად მიმართავს საქართველოს მეთაურს მისასალმებელი სიტყვით, ულოცავს სახელმწიფოს აღდგენას. მას ფრანგულ ენაზედვე უპასუხებს ნოე ჟორდანია. მომღერალთა გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით პირველად ასრულებს ქართულ ჰიმს — „დიდებას“. ნადიმზე წარმოითქვა მრავალი სიტყვები სხვა ერების წარმომადგენელთაგან; შესრულდა მრავალი ქართული სიმღერა. გაიმართა ცეკვა. ყველა დამსწრეთა გრძნობა და ფიქრი საზეიმო აღტაცებით იყო მოცული. ნადიმი დილხანს გაგრძელდა.

მთელ ქალაქში საერთო მხიარულებაა. ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ყოველგვარი გასაჭირი დაავიწყდათ, საერთო აღტაცებით გა-

---

*) გადმოღებულია ძველ გაზეთებიდან: „დამ. საქ.“, „საქ.“ და „ერთობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცდაექვსი მაისი

უნდა შევსცვალოთ დღეს ძველი ჩვეულება 26 მაისის შესხმისა.

მიღებულია აღიარება, რომ იგი ქართული გენიის საფუძვლებს ეყრდნობა, რომ იგი მარადიული თუ ისტორიული სულის საძირეებიდან ამოხეთქილია, უცნობი და შეუცნობელი გზებით ამოხეთქილი ტრაღიკული ქარიშხალით დატვირთულ გარემოში, როგორც ვარსკვლავი ერის მძლეობის წითელი სხივით აბრწყინებული. ვიცით იგი ჩვენია, საკუთარი, ქართული და ამიტომ ასე საყვარელი და სანუკვარი იმედების მომცემი, სულის ძალთა შემკრები და გამაახლებელი.

ვიცით, 26 მაისი ეროვნული სიცოცხლის წყაროა: წმინდა, როგორც მაისის მზე, სურნელოვანი, ვით კუკური მაისის ვარდის.

ვიცით, იმით ვსულდგმულობთ; იმისთვის გვიძგერს გული:

ეს ყველა ვიცით.

და ჩვენ გვინდა შევსცვალოთ დღეს ეს ჩვეულება 26 მაისის შესხმის.

იგი დიდია, მაგრამ, ხომ იცით, იგი დღეს საქართველოს მიწა-წყალზე არ იდღესასწაულება! ხომ იცით, ქართველის გული იქ დღეს წვეთ-წვეთად იცლება სისხლით, რადგან ენა მისი ვერ ამეტყველდება ამ სიდიადის მოსაგონებლად! ხომ ვიცით, იქ გულს უნდა ფარდა სქელი გადაეფაროს, რომ მტრის მუხთალმა ჭვრეტამ არ წაბილწოს წმინდა გრძნობა დამარხულის სიყვარულის!

აქ დღეს მხიარული ღიმილი ციალებს ჩვენს სახეზე, სიამე ჩადის სულსა და გულში. იქ ასეთი ღიმილი უფსკრულში იმარხება, სევდის ნაზი და მწვავე საფარველის ფერფლით დაფარული.

ჩვენ დღეს ვიცეკვებთ, ვიმღერებთ, ვიმხიარულებთ! იქ კი კვნესა სულისა, ოხვრა გულის სიღრმეში, ცრემლი შეკავებული — იძულებით მშვიდათ დამაგრებული სახეზე!

ვიფიქროთ მათზე.

და ვიფიქროთ იმაზე, რომ მათ სიამის გათენება ეღირსოს.

ეს შეიძლება 26 მაისის აღდგენით. იმათი დამხობით, ვისი ხსენება ჩვენ აქ არ გვინდა: აქ მხოლოდ წმინდა სიტყვას და კეთილშობილ აზრს უნდა ექნეს დღეს ადგილი.

მოქალაქენო, ქართველნო, ვიფიქროთ დღეს ამ ჩვენს წმინდა მოვალეობაზე.

თქვენ, ძველ მოღვაწეთა საპატიო სახელს ვინც ატარებთ, თქვენ — მომდევნო თაობავ, აჯანყების და დევნის შედეგათ გადმოხვეწილნო, თქვენ აქ აღზრდილნო, თუ აქ დაბადებულნო, ახალგაზრდა არწივის მართვენო, და განსაკუთრებით თქვენ ომის შემდეგ აქ დაშთენილნო, რომელთაც მეტი გაგიცდიათ იქაური უბედობის და შეგისვამთ ტანჯვის ფიალა!

ოცდაექვსი მაისი უნდა აღსდგეს!

მაგრამ რით, როგორ? საშუალება დღეს ერთად-ერთია — საერთაშორისო დამოკრატიული მოძრაობის უძლეველი ტალღა, ერისა და ადამიანის უფლებათა დროშით მებრძოლი, რომელიც ჩვენს დამხუთველს, სამკვდრო-სასიცოცხლოთ შესტაკებია! ხომ ხედავთ ამას? ხომ გრძნობთ ამ ტალღის ცემას? ხომ ხედავთ, საიდან მოდის და სად ეხეთქება იგი? მივყვეთ იმის სავალ გზებს!

და აი აქ მწუხარებით უნდა გითხრათ:

ის არ გვაქვს მიყოლისათვის, რაც ჩვენ გვჭირია, რაც ჩვენ გვევალება: არ გვაქვს ერთობა; და უნდა გვექნეს! გათიშულობის მძიმე იარით დასერილი ვხვდებით დღეს ბრწყინვალე ისტორიულ დატას!

და გეუბნებით: ღირსია ეს 26 მაისის!?

მართალია, ბრძოლის გზა, ცხოვრების მსვლელობით ნაკარნახევი, გაუწვალდავია, ეკლებით მოსილი. გვერდით ვართ იმათთან, ვისთანაც ყოფნა გულით გვესურვება; ვხვდებით იმათაც, ზოგის გულს რომ ეკალივით დაესობა!

გესმისთ, ვის ვგულისხმობთ! გიჭირთ დაძლევა ამ მძიმე ტკივილის?

მაშ გაიხსენეთ, რომ იქ, სატანჯველში, რო-

მსჭვალულნი ერთი-მეორეს ეხვევიან და ჰკოცნიან. საერთო ზეიმი, საერთო აღტყინება დილამდის გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ არსად ამ ზეიმის დროს არავითარ უსიამოვნებას თუ ჩხუბსა და აყალ-მაყალს ადგილი არ ქონია მიუხედავათ იმის, რომ ცოტა არ იყოს ზედმეტათ ნასმიც არ იყო იშვიათი. გაჩირაღდნებულ ქუჩებზე დილამდის მიდი-მოდიოდა მშვიდათ და თავდაჭერით დიდძალი ხალხი და მხიარული სიმღერები არე-მარეს ატკბობდა...

იგი

მელსაც საბჭოთა საქართველო ეწოდება, სიკვდილს სული სახეში მოსჩერებიან, ცელ-მოღერებულს — და მაინც უძლებენ. გაიხსენეთ და ეს გულის ტკივილის დაძლევას შეგაძლებინებსთ! იგულისხმიერეთ: ე რ თ მოძულეობა და გაუკარებლობა უარყოფილია ქართველი ერის საუკუნოებრივ კეთილშობილ ტრადიციებით. და ჩვენ რათ უნდა გავხდეთ დამრღვევი ამ ჰუმანიური ნაანდერძევის?

ჩვენი გზა ახალია, უჩვეულო, ბევრის აზროვნებას ეჩოთირება, როგორც წლობით ნაფიქრალის და მიღებულის უარმყოფი და გადამსინჯავი. მაინც ყველას ვიწვევთ აქეთკენ!

ვინც ამ გზას შეეთვისა და აითვისა იგი — მოდით — შევკრათ რიგები. ვისაც შეგიძლიათ გამოყვეთ მას — ამოუდექით გვერდში ამ რიგებს. ეს შეგვიძლიათ ყველას! წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ გნებავთ დაურცხვენლად შეადგათ თვალი 26 მაისს! იგი ამას მოითხოვს!

26 მაისში გზა ხსნილი აქვს თავისუფლებას: იყოს აზრთა სხვა და სხვაობა, იყოს ძიება გზების და მეთოდების ეროვნულ მიზნებისათვის. თუ გარეშე „ამ ერთისა", არსებობს სხვა გზა, ან გამოჩნდება უფრო ხელჩასაჭიდი, უფრო სასარგებლო რეალური შესაძლებლობა — მოიტანეთ, განვიხილოთ, სასწორზე ავწონოთ.

საუკეთესო და უფრო სასარგებლო გახდეს საყოველთაო!

მაგრამ ნუ იქნება განშორება და განყოფილება! იყოს შეჯიბრი გაჩაღებული უკეთესი შესრულებისათვის! მხოლოდ ამოიფხვრას ქიშპობა და გაორება საქმიანობაში.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისათვის საჩრჩობელაო", ხომ მოგისმენიათ? და თუ მოგისმენიათ, მაშ ეცადეთ გამომრთელდეს ეს შეუნდობელი არსაპატივებელი დაწყლულება ჩვენი გადმოხვეწილი საზოგადოებრიობის!

ერთობის ტახტის სამსხვერპლოზე ნუ თუ ძნელია დავსწვათ ჩვენი ვნებათა ღელვა — მასაზრდოებელი განხეთქილებისა?

ამას მოითხოვს ჩვენგან პატივისცემა 26 მაისის!

აქ ყველას შეუძლია დაიდვას წილი. აქ ყველას აქვს უფლება და აძევს მოვალეობა!

საერთო სურვილმა, საზოგადოებრივი აზრის ძლიერმა სულთქმამ, ერთობისაკენ მიმართულმა, უნდა შებორკოს ნაბიჯი გარე-გარე მაყურებელის.

„ერთობა შინ" 26 მაისის სახელით — აი რა უნდა გახდეს ლოზუნგი — მძლავრი და უცდუნელი — გაერთიანების.

ჩვენ მივმართავთ ყველას, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს!

მოქალაქენო, ქართველნო! იქ ჩვენს დატყვევებულს სამშობლოში ტანჯვის რკალი აერთებს მთელ ერს. აქ, ნებიერათ მყოფთ უნდა გვაერთიანებდეს სიყვარული ერის და წმინდა გრძნობა — მოვალეობის!

მხოლოდ მაშინ ვიქნებით ღირსი **26 მაისის.**

## სიტყვა თქმული მაისობაზე 1946 წელს ბ. არსენიძის მიერ

1918 წელს ომისა და რევოლიუციის ტრაღიკულ მომენტში, სწორეთ 25 მაისს, შაბათ დღეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს საკანონმდებლო კომისია იჯდა თავად-აზნაურობის ყოფილ საკრებულოს და იმ ჟამათ ეროვნულ საბჭოს შენობის ერთ პატარა ოთახში და გაფაციცებით ამუშავებდა პროექტს დამოუკიდებლობის აქტისას, რომელიც მეორე დღეს უნდა გამოცხადებულიყო. ეს კომისია, რომელშიაც ყველა ქართულ პარტიათა წარმომადგენლები იღებდენ მონაწილეობას, სწორეთ ამ დროს იყო შედგენილი. ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა, ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნულ საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დიად დანიშნულების; გასაკეთებელი კი ბევრია. საჭიროა გამოინახოს ძირითადი მოტივები რუსეთიდან გამოყოფის, აუცილებელია აქტი შეიცავდეს არსებით პრინციპებს, რომელზედაც იქნება აგებული ახალი სახელმწიფო ქართველი ხალხის, უნდა აღინიშნოს რომ უფლებები ქართველი ახალდაბადებული მოქალაქის, უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უცირესობათა უფლებებს, რომელნიც ჩვენი ერის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლეთ, მოჭრით, მკაფიოთ. თვითეული სიტყვა ამიტომ იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას, ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯაჭვი თავდება ბოლოს მორიგებით, ერთსულოვნობით, რაც მიღებულია, — მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებას და გულნაკლულობას აქ, ამ დიად, გადამწყვეტ მომენტში არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობთ ყველა თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახია.

ვიბრძვით და ვჩქარობთ, რადგან ოტომ. პორტასაგან, ამ ჩვენი ქვეყნის მუდმივი, ისტორიული მოწინააღმდეგისაგან 72 საათ. ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული, რომელსაც ხვალ საღამოზე გაუდის ვადა. ამიერ-კავკასიის ფედერაცია, სამი ერისაგან შემდგარი, — საგარეო ორიენტაციის საკითხმა და გარეშე, უცხო ძალის ზედმოქმედებამ ერთობის გზიდან გადააცდინა და შიგნიდან მოშალა. მას წინააღმდეგობის და პასუხის გაცემის უნარი აღარ აქვს. ოსმალეთი კი, იარაღით გვადგია თავზე, სამარცხვინო ბრესტ-ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული, ყარსის, ბათუმის, არდაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება: მაშინ რაღა დარჩება საქართველოდან, ან სად და როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა ერმა, როგორ იბოგინოს სახელმწიფომ, სასიცოცხლო ძარღვებ გადაჭრილმა? სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გვიდგას. არა თუ ისპობა და ქრება რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებანი ადამიანის და მოქალაქის უფლებებიანად, რომლისათვისაც ამდენი მსხვერპლი გვაქვს შეწირული, არამედ თვით ერის ფიზიკური არსებობაც საშინელ საკითხის წინაშეა დამდგარი.

ჩემს დღიურში ამ მომენტის შესახებ ასე მაქვს აღნიშნული: „ახლა ყველა ხედავს, რათ ჩაგვჩურჩულებდა ტკბილი ხმით ოტომ. პორტა, ამ გასულ იანვარში დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია და ბრესტ-ლიტოვსკში გაგვეგზავნა დელეგაცია საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ. ალბათ ფიქრობდა, რომ იქ მოგვაწერინებდა ხელს უღმერთო დათმობებზე — ბათუმ-ყარს-არდაგანის ოლქებზე — და ამით სამუდამოთ უზრუნველ ყოფდა თავის ვერაგ განზრახვას. და რა კარგათ გამოგვივიდა, რომ მისი სირინოზის ხმით მღერას არ ავყევით... ახლა კი ჩვენ თვითონ დავკრავთ, თვითონ გამოვაცხადებთ დამოუკიდებლობას. გამოვაცხადებთ, რადგან ეს ჩვენ გვინდა, ჩვენ გვსურს, ჩვენ გვჭირდება, გამოვაცხადებთ, როცა ის მტრის გულს ლახვრათ დაესობა, ახლა ჩვენ თვითონ ვაცხადებთ ჩვენი საკუთარი ნებისყოფით და სურვილით, ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის! ტელეგრამები ხომ ყველა კუთხიდან მივიღეთ! პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები, რომელნიც ხალხთან ახლოს არიან და რომელთაც შევეკითხეთ, ერთხმად გვიპასუხეს: თანახმა ვართ, თქვენთან ვართ... დამოუკიდებლობა საქართველოსი ამრიგად იგებს პირველ პარტიულ რეფერენდუმს“...

დიახ, ბატონებო, ეს ხდება 25 მაისს, 1918 წელს, დამოუკიდებლობის წინა დღით.

ჩვენი კომისია მუშაობს საღამომდე. ვერ დაგვისრულებია შრომა. ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ, ხოლო ეროვნულ საბჭოს ბიურო, მისი პრეზიდიუმი გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. სრულ ღამის ორ საათზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი, ვგონებ, ბ. გ. გვაზავა და პავლე საყვარელიძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამელამვე დაათავონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა.

ნაშუაღამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროთ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში.

ვის სცალოდა იმ ჟამად აქმების შედგენაზე, მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა. იწერებოდა კი... მაგრამ არ ვიცით, ინახება იგი სადმე, თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ, ამიტომ მინდოდა ამის მოგონება აქ, თქვენს წინაშე.

ყველა იმათგან, ვინც ამ აქტს აწ ისტორიულ აქტათ ქცეულის შედგენაში და გამოცხადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახელები მეხსიერებამ შემინახა, სულ ორიოდე პირი მეგულება ცოცხლებთა შორის, დიდი უმრავლესობა ჩვენს წინა-პართა პანთეონს შეუერთდა. ესენია: პ. საყვარელიძე, ავტონომისტი სოც.-დემოკრატი, ერთი თავგამოდებული და გატაცებული მომუშავე აქტის შედგენაში, გიორგი ლასხიშვილი, ძველი ხალხოსანი და სოც.-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებელთაგანი, კაცი უაღრესი პატიოსნობის და გულწრფელობის განსახიერებელი. სოსიკო მდივანი — სოც.-ფედერალისტი, დიდათ ნიჭიერი ორატორი, შემდეგ დამფ. კრების თავმჯდომარის მოადგილე. გიორგი გვაზავა — დაულალავი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ამ მოღვაწეობაში დალია სული გადმოხვეწილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე აფხაზი — თფილისის თავ.-აზ. წინამძღოლი, დიდი გონიერი პატრიოტი, რომელმაც თავად-აზნაურთა ქონების ქართველ ერისათვის გადაცემით მოუმზადა ნივთიერი და ორგანიზაციული საფუძველი ჩვენი ერის აღორძინებას და რომელმაც წამებით დაიდგა უკვდავების გვირგვინი საქართველოს 26-სი მაისისათვის ბრძოლაში.

ჩავისახოთ გულში მათი ხსოვნა და მათი სახელები.

ახლა გადავიდეთ ისევ 26 მაისზე. ეს დღე ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაულია. იგი მცირე ხნით გამობრწყინდა საქართველოს ცის კაბადონზე, მაგრამ წარუშლელი კვალი დასტოვა ქართველი ერის ცხოვრებაში. და მე მინდა გითხრათ, რომ ქართველი ერი ღირსი იყო თავის 26 მაისის არა ასეთი მწარე ხვედრის, რომელიც არგუნა მას გეოგრაფიულმა მდგომარეობამ და თავის მცირე რიცხვოვანობამ...

ქართველი ერი არის ისეთი ერი, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული კულტურული და მორალური ღირებულება, რომელთაც შეუძლია გვერდში ამოუდგეს, როგორც უნცროსი ძმა, განათლებულ ერთა სახელმწიფოებს.

მის ერის ისტორიულ თვისებათაგანს წარმოადგენს არა მხოლოდ მისწრაფება ევროპის კულტურისა და ცივილიზაციისადმი, არამედ, კიდევ მეტი, ის, რომ მას თვითონ თავის ისტორიული გზების მანძილზე შემუშავებული აქვს სრულიად დამოუკიდებლად ევროპისაგან ისეთი სოციალური და პოლიტიკური წყობილება, რომელიც ეკუთვნის ევროპიულ საზოგადოებრივ ურთიერთობის ტიპს, როგორც ეს უკანასკნელი გამოიხატა უმთავრეს ევროპიულ სახელმწიფოებში და იმავე დროს წარმოადგენს სრულიად ორიგინალურ და თავისებურ სახეობას ამ საერთო ტიპიური ურთიერთობისას.

საკვირველი ისაა, რომ ეს ურთიერთობა განვითარდა ამ პატარა ერში ისეთ ხელშემშლელ პირობებში, რომელიც არ იცის ევროპის ერებმა. აზია-ევროპის დასართავთან მცხოვრები ქართველობის გარშემო ალმართული იყო უზარმაზარი აზიური სამხედრო დესპოტიური სახელმწიფოები, როგორიცაა სპარსეთი, ოსმალეთი და სხ., რომელთა ხანგრძლივ ბატონობას იგი განიცდიდა. ამ ბატონობის გამო მათგან გარეგნულად მრავალი რამ გადმოიღო, მაგრამ არსებითად, თავისებურად გადაამუშავა, გაევროპიელა.

ბატონებო! დღეს ჩვენ ისტორიას არა ვწერთ; ეს არ არის ჩვენი საგანი. სამწუხაროა, რომ არ ვიცნობთ საკმარისად საკუთარ წარსულს. მაგრამ, აბა ჰკითხეთ ევროპიელ მოგზაურებს, რომელთაც ჩვენი ქვეყანა უნახავთ, ზოგს გაჭირვების, ზოგს დალხინების ხანაში. ჰკითხეთ ბ.ბ. ანჯელოს, დომბერტოს, შარდენს, ჰკითხეთ დიუმა-მამას, რატომ გრძნობდენ ისინი თავს საქართველოს საზოგადოებაში, როგორც თავის საკუთარ წრეში? სწორედ იმიტომ, რომ მსგავს სოციალურ წყობილების ნიადაგზე აღმოცენებული იყო ნათესაობა მათი სულიერი განწყობილების, საერთო იყო ზოგადი ძირები მათი ფსიქოლოგიური განცდების.

ქართველი ერის წარსული, ვიმეორებ, მოწამეა დიდი და ძლიერი შემოქმედების, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ დარგში.

და ცოდვა არ არის ასეთ ერს დღესაც არ ქონდეს საშვალება საზოგადოებრივ ურთიერთობის ყოველ სფეროში, პოლიტიკურში ისე, როგორც სოციალურ-საზოგადოებრივში თავისუფლად გადაშალოს მთელი თავის შესაძლებლობანი, თავისუფლად განავითაროს თავის შემოქმედებითი ნიჭი და ძალები? ცოდვა არაა, რომ უცხო არტახები უბოჭავდეს მას თავისუფლად გაქანების საშვალებას?

მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ აქ, ვინმეს გულის მონადირებას ძველი თამასუქებით, წარსულის სიდიადით; დღესაც აქვს ჩვენს ერს გამოსაჩენი ღირსება და ღირებულებანი.

დღესაც ბორკილ დადებულ ქართველ ერში თქვენ გაქვთ ნიმუშები და საბუთები იმის, რომ ყოველ დარგში, რომელშიაც კი ხალხის ენერგიას რამდენიმეთ მაინც გზა აქვს გახსნილი, ისეთსავე მომხიბლულ წარმატებებს აქვს ადგილი, არის ეს ხელოვნება, პოეზია, მეცნიერება, თუ მრეწველობა-წარმოება თუ სხვა დარგი ეროვნული ცხოვრების. მართალია, მბრძანებლობას და უხეშ კარნახს აქაც დაუსვამს თავის მსახვრელი დაღი, მაგრამ ერის დიდი ენერგია მაინც გადმოსჩქეფს ამ შემხუთავ ზღუდეებიდან.

და ვამბობ მე, რათ არ უნდა მიეცეს ასეთ ერს შესაძლებლობა ყველა დარგში გაშალოს ფრთები შემოქმედების, თავისუფლად, შეუზღუდველად?

მაგრამ თუ ასეთია, ბატონებო, ქართველი

ერი მონობაში, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი თავისუფლების სპეტაკ ატმოსფერაში?

ხან მოკლე იყო ჩვენი დამოუკიდებლობის არსებობა, ხან მოკლე იყო დემოკრატიული ძალთა თვითმოქმედების ასპარეზზე განავარდება. მაგრამ მაინც რა ძლიერი კვალი დასტოვა მან ერის ცხოვრებაში! რამდენათ შეატრიალა მან ერის ყოფა 26 მაისის შედეგათ! ამ დღეს, 26 მაისს, იშვა ახალი საქართველო, დემოკრატიული საქართველო, რომელშიაც პირველათ მისი ისტორიის სიგრძეზე ყველა ქართველი განურჩევლათ წოდებისა, შეძლებისა და მდგომარეობისა, გახდა თანასწორ-უფლებიანი მოქალაქე, ერთნაირათ აღჭურვილი უფლებით და მოვალეობით თავისი ერის წინაშე. ორ-სამი წლის განმავლობაში ქართველმა ერმა შექმნა დემოკრატია და თვითმართველობა, თვითმოქმედებისა და თავისუფლების ნიადაგზე ააწყო მთელი სახელმწიფო აპარატი, მიუხედავათ იმისა, რომ მის გარშემო საშინელი ანარქიის ზღვა ბობოქრობდა, და ამ მძაფრი ტალღების ნახეთქები მას ჩანთქმას ემუქრებოდა. იგი იდგა აქ, ამ ქაოსის უსაზღვრო ზღვაში, როგორიც პატარა კუნძული, განკერძოებული და განმარტოვებული. რევოლიუციაშიც ისე, როგორც თავის მშვიდობიან ცხოვრებაში, იგი იყო უფრო კულტურული, ადამიანური, პიროვნების და ცხოვრების ღირებულებათა პატივის-მცემელი! ამით განირჩეოდა იგი რუსეთის თვალ-უწვდენელ სივრცეზე ატეხილ სისხლის ტბორებიან ქარიშხალისაგან.

და ცოდვა არ არის ეს მაისი, უცხო ყვავილი, უცხოთ გაფურჩქვნილი, თებერვლის სუსხმა დააზროს და დაამჭკნაროს?

დიაღ, ბატონებო, თებერვლის სუსხმა ცუდ დროს მოუსწრო ახალ აღორძინებულ ნორჩ რესპუბლიკას, საქართველოს მიწა-წყალზე აგებულს.

მაგრამ ჩააქრობს ზამთრის ღრუბელი გაზაფხულის მზის სიელვარეს? ჩვენ გვწამს რომ ვერა. ჩვენ იმედით ვართ სავსე, რომ აღსდგება ისევ ქართველი ერი მთელი თავის ეროვნული ძლიერებით და სახელმწიფოებრივობით.

მართალია, დღეს დამოუკიდებლობის და შეუზღუდველ სუვერენობის ადგილას ერთა ურთი-ერთობის სხვა უფრო მაღალი ფორმები იჭრებიან წინ, ყოველ შემთხვევაში თვით პასუხისმგებელ პოლიტიკური ხელმძღვანელთა პროექტებსა და განზრახულობაში. თვით ისეთი დიდი ერიც, როგორიც საფრანგეთია, თავის ახალი კონსტიტუციით იკვეცს სუვერენობის ერთ ნაწილს, რათა იგი სხვა ერებთან მეგობრული კავშირის გაუზიაროს ქვეყნად მშვიდობიანობის დასამყარებლად. მაგრამ პატარა საქართველოსათვის არასოდეს ყოფილა უცხო და მიუღებელი ეს მოსაზრებები. თვით დამოუკიდებლობის აქტისთვის წინ წამძღვარებულ სიტყვებში საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანია საერთო ოვაციების ქვეშ აცხადებდა უპირატეს ღირებულებას მეზობელ ერებთან ფედერატიულ კავშირისას, რომელიც, რასაკვირველია, თვითეული მათგანისა სუვერენობის შემზღუდველი უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია და სიმართლე გვექნება, ვთქვათ, რომ 26 მაისის იდეალში დამოუკიდებლობის გვერდით მედის იდეა თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირის; თავისუფლათ შესვლა დიახ, — ხოლო ძალით შეყვანა კავშირში არასოდეს... სადაც ძალადობაა, იქ ძმობას აღარ აქვს ადგილი. ამიტომ ვამბობთ ჩვენ: ქართველ ერს თვით შეუძლია თავის ნების ყოფით დაუკავშირდეს სამოყვაროთ მოსულ თავის მეზობლებს, განურჩევლათ დიდისა და მცირესი; ეს ეგუება მის ბუნებას და სამართლიანობის იდეას. ეს ეგუება და დიდათ მნიშვნელოვნია საერთაშორისო მშვიდობიანობისა, თანასწორობის და მეგობრობის დასამკვიდრებლათ. მხოლოდ ძალადობას იგი ვერასოდეს შეურიგდება. ასე ამბობს დღე — 26 მაისის.

მაგრამ, იტყვიან, სად არის, გარანტია ამ იდეალურ მისწრაფებათა განხორციელების? საიდან უნდა მოიპოვოს ქართველმა ხალხმა იმედი ასეთი მომავლის?

ამ უკანასკნელ წლებში განვლილ საშინელ სისხლის ზათქისა და თქეშის შემდეგ. რომელმაც წალეკა მთელი კაცობრიობა, რომელმაც საშინელი ჩამოქვეითების, მორალური კრიზისისა, გაღარიბების და გაველურების დაღით დადაღა იგი, არ მგონია, გამოჩნდეს ვინმე, რომ ასეთი საბედისწერო კონფლიქტების განმეორებაში ეძიოს ქართველ ერის მომავლის უზრუნველყოფა. ომის საშინელებამ საბოლოოთ უნდა ამოაგდოს კაცობრიობის ურთიერთობის სალაროდან ასეთი ბარბაროსული საშუალება სადავო საკითხთა გადაწყვეტის. ქართველი ერიც თავის მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლათ ნესტან დარეჯანის პირით გვიკარნახებს: „დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქნები შუა ხიდად“-ო; ქართველ ხალხს არ სჭირდება თავისი პრობლემა ახალ მსოფლიო უბედურობის მიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზათ აქციოს. ერთა საკითხი, ბატონებო, გართულდა, მაგრამ მათი გადაჭრის აუცილებლობაც უფრო მწვავედ დგება. დღეს აღარ დგას საკითხი მარტო საქართველოსი, არამედ დგას საერთოდ საკითხი ყველა დაჩაგრული, ყველა პატარა ერის, მათი უფლებების, მათი თანასწორობის. კულტურული ადამიანთა აზროვნება და პოლიტიკური ხელმძღვანელობაც დღეს ამ პრობლემების გარშემო ტრიალებს.

მართალია, გასული საშინელი სისხლის ღვარების შემდეგ, ჯერ კიდევ არ დამყარებულა რაიმე წესიერება. ომიანობა მოთავდა, მაგრამ ომი არ გათავებულა. ყველა ნერვები დაჭიმულია, ყოველი ენერგია დაძაბულია.

ყველა ერი და განსაკუთრებით მცირე ერები კიდევ შიშსა და კრთომაშია თავის ბედისათვის. საკითხები მშვიდობიანობის შემოღების დღესაც გადაუწყვეტელი დგას ჩვენს წინაშე. გამარჯვებული დიდი სახელმწიფონი მეორე *) წელიწადია იკრიბებიან და იშლებიან, ერთმანეთში ვერ მორიგებულან. ეძებენ და საერთო ენა ვერ გამოუნახავთ. ეს ქმნის უიმედობას, პესიმისტურ განწყობილებას. განსაკუთრებით ართულებს საქმეს ძირითადი განსხვავება საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმისა და მისწრაფებების ევროპიულ-დემოკრატიის რეჟიმსა და კულტურასთან და მათი ერთმანეთზე დაპირისპირება.

მაგრამ, კაცობრიობას, რაც უნდა გამოურკვეველი იყოს დღევანდელი დღე, სხვა გამოსავალი არ აქვს: ან უნდა ეროვნებათა თავისუფალ არსებობის პრობლემა დადებითად გადასჭრას, როგორც ამას შეუდგა ნაწილობრივ თავის იმპერიაში ინგლისის ხელისუფლება ლეიბორისტების (მაგ. ინდოეთში), ან მთელი დედა-მიწა ხელახლა უნდა ჩაინთქას ანარქიის და განადგურების საშინელებაში. ჩვენ გვწამს, რომ გაიმარჯვებს საბოლოოთ პირველი ტენდენცია, ჩვენ გვწამს, რომ ევროპა, რომელიც დღეს თვით განიცდის შინაგან გადაქმნის ღრმა პროცესს, გადაადუღებს ერის ცხოვრებას ახალ, მაღალ საზოგადოებრივ საფუძვლებზე და ბოლშევიკურ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, აზიურს და ნახევრად აზიურს თავის ღრმა ფარვატერში გაიყოლიებს. ქართველი ერიც, სხვა ერებთან ერთად ამ ღრმა ძლიერი საზოგადოებრივი პროცესის შედეგად უნდა მოელოდეს თავის ბედის, გაუმჯობესობას, თავისუფლების და თანასწორობის იდეის განხორციელებას სწორედ ისე, როგორც ეს ჩასახული იყო და არის 26 მაისის დღესასწაულში.

მახლობელ წარსულში, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში გაცრუებული იმედები, გამქრალი ილუზიები, სინამდვილის სხვათ რომ ეჩვენებოდა მრავალთ, ნუ გაგვიტეხს გულს. ქართველ ერს ბევრი ამაზე დიდი გასაჭირიც აუტანია.

დიდია ჭრილობები ქართველი ერის, როგორც ფიზიკური — თავის წორჩი თაობის დიდი ნაწილის დაკარგვა ამ ულმერთო ომში, ისე მორალური ზიანი, რომელიც მიადგა ქართულ საქმეს.

ჩვენ აქ არ გვინდა, ვინმეს გული ვატკინოთ. განსხვავებათა გახსენებას დღეს არ ვაპირებთ. პირიქით, ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ყველა შემცდარი, თუ შეუცდომელი ნაბიჯები, ყოველი, ილიუზიებით თუ იმედებით გამოწვეული მსხვერპლი, დამყარებული იყო იმ გრძნობებზე, რომელიც ჩვენ ყველას გვაერთებს და გვაქართველებს — ესაა სიყვარული ქართველი ერის, ესაა მისწრაფება მისი კეთილდღეობისადმი. და ამ გრძნობებში ჩვენ თუ ერთად ვართ, თუ ყველას ქვეყნის სიყვარულის ცეცხლი გვიღვივის გულში და გრძნობა მისთვის თავდადების ხელმძღვანელობს ჩვენს მოქმედებას, წინანდელ შეცდომების ნუ შეგვეშინდება. იგი გამოსწორების გზას მიგვაგნებინებს; და თუ ასეა, შეგვიძლია ვთქვათ: 26 მაისის იდეები მაინც ცოცხლობენ! და ცოცხლობენ არა მარტო ქართველთა გულში, არამედ, როგორც მოგახსენეთ, გახდენ საერთაშორისო პრობლემების ძირათ და ფუძეთ, და ქართველ ერს არა ერთი შემთხვევა დაუდგება მთელი თავის ნებისყოფით თავის მისწრაფებათა განხორციელებას ჩამოეჭიდოს.

ამიტომ ისევ გრძნობით შევიმოსოთ, ისევ ოპტიმიზმით გავივსჭვალოთ! 26 მაისი ცოცხლობს და როგორი თვალითაც არ უნდა შევყურებდეთ მომავალს და დღევანდელ მდგომარეობას, იგი მაინც უდიდესი სხივ-შემოსილი დატაა ქართველი ერის ცხოვრებაში, და ჩვენ ნება გვაქვს მთელი ჩვენი სულით და გულით, მთელი ჩვენი არსებით გაბედულად და ამაყად იმედიანი ხმით შემოვძახოთ მტერსა და მოყვარეს:

**გაუმარჯოს 26 მაისს!**

*) 7 წლის შემდეგაც სურათი შეუცვლელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თბილისის ღამე“

## ნაწყვეტი რომანიდან

თ ა ვ ი :

### „ოცდაექვსი მაისი ტყვეობაში“

192... მაისის ოცდაექვს, — დილის გრილმა სიომ შემოუქროლა ოთარ დიდიძის ფანჯარაში და მას საქართველოს აღდგენის სადღესასწაულო დღე მიულოცა... ახალგაზრდა ოთარის გული ტოკავდა, ღელავდა, აზრთა დალაგების საშვალებას არ აძლევდა. ფანჯარასთან მიდგა და აზმაურებულ ქალაქს გადახედა, უცებ გამობრუნდა, თაროდან წიგნებში ჩამალული საკუთარი დღიურის რვეული ჩამოიღო, გადაფურცლა და სწორედ იმ სტრიქონებს წააწყდა, რომლის მოგონება მას აღელვებდა და დრო-გამოშვებით ასევდიანებდა: „მთელი ქალაქი მხიარულობს, შენობების თავზე ფრიალებენ დროშები, ნაზი სიო მათ არხევს, რომ მორთულ ქალაქს თავი დაუკრას და დღესასწაული მიულოცოს, მხიარულობა უსურველი, მინდა გადავეშვა ამ აღელვებულ ტალღათა გრიალში და დავსტკბე საერთო აღტყინებით... დროშები მიდიან დანიშნულ ადგილას, რომ იქ ერთხელ კიდევ დასდონ ფიცი ერთი-მეორეს წინაშე, — მიწა-წყლის ერთგულებისა და სიყვარულისა. მაისის თბილი სხივები სიონის გუმბათს ეალერსება, გაბრწყინებული ჯვარი თითქოს კურთხევას უგზავნის ქალაქის მშფოთავ ცხოვრებას — სათნოებით გადაჰყურებს მას. გული აღარ ითმენს, კალამს ხელიდან ვაგდებ და ქუჩაში გავრბივარ, რომ მეც გავიზიარო საერთო მხიარულება“... ოთარმა რვეული დახურა, გარეთ გამოვიდა და ჩქარის ნაბიჯით გაექანა... იგი შეეპყრო მოვალეობის შესრულების სურვილს... თან იგრძნო ობლობა, სიმარტოვე, ის დღეს დედა-ქალაქის შუა ადგილას შეკრილი, მისი ბედით დაინტერესებული იბრძოდა, — მის გასანთავისუფლებლად... მან ზევით მთა-წმინდას ახედა, რომელსაც ნისლი მოსცილებოდა და თითქოს უდარდელად გამოიყურებოდა, აქეთ მტკვარი მიბუტბუტებდა, დაჰქროდენ ავტოები, რახრახით მიიზლაზნებოდენ ტრამვაის ვაგონები და სადღაც მოსახვევში ჭრიალობდნენ... თითქოს ყველაფერი რიგზეა...

— „ხომ არ შეურიგდა თავის ბედს? გაუელვა აზრმა ოთარს. ტყვეობაში ჩავარდნილ ქალაქის სიყვარული მასში უფრო ღრმა იყო, ვიდრე ამ რამოდენიმე წლის წინეთ... მის ახალ-გაზრდულ სიამაყეში გამქრალიყო ყოველ-დღიური ჭირ-ვარამი და გზა დაეთმო აღფრთოვანებულ მისწრაფებისათვის. ოთარისათვის არ არსებობდა შიში, არ ფიქრობდა ხიფათზე, მიდიოდა თავ-აწეული, მტკიცე ნაბიჯით... გაშორდა თუ არა ქალაქს, მან მიმოიხედა, ბრწყინვალე სახეებში ამოიკითხა მეგობრული გრძნობები... ცალ-ცალკე მიიჩქაროდნენ... მათი გულები ერთნაირად ძგერდნენ, მათი აზრები ერთი-მეორეს უკავშირდებოდნენ, გადანასკვნოდნენ სამშობლოს ბედის ტრიალს... ტალღები სიამოვნებისა მათ გულში იზრდებოდენ და აგორებულ ბრძოლის ზვირთებში ითრევდენ... სდუმდენ, ფრთხილობდენ... თითქოს არ სურდათ ერთი-მეორის გულის ღელვა შეებორკათ...

ფიქრის გორასა და მდინარე ვერის შორის გაშოლტილი გზა - ჯვრის უბნისკენ მიემართება, ამ გზიდან პატარა, ოდნავ შესამჩნევი ბილიკი უხვევს და ჩაზნექილ ადგილს უერთდება, რომლის რგვალ მოედანს იფარავს პატარა გორაკი ქალაქის მხრიდან...

ოთარი შეუერთდა იქ უკვე მისულთ. ხალხი სისწრაფით მატულობდა... დილის ათი საათის შესრულება ქალაქს ამცნო რკინის გზის სახელოსნოების საყვირმა... მისი ხმა აქ ძლივს მოისმა.. დრო არ ითმენდა. სასწრაფოდ ყველამ თავი მოიყარა ერთი მოხუცის ირგვლივ, რომელმაც სისწრაფით ხალათი გადაიძრო, წელზე შემორტყმული სამფეროვანი დროშა მოიხსნა, შუა-ადგილას წინასწარ გამზადებულ სარზე აღმართა და დაიწყო: „რუსთაველის გამზირიდან ამ ორმოში ჩაგვყარეს, მაგრამ ქართველ ერს უნახავს დიდება და დაქვეითება, გაგვიცდია აღმაფრენა, გადაგვიტანია წვალებაც. ჩვენი გული იმედით სჩქეფს, ჩვენ გვწამს, რომ ამ დროშას კვლავ სასახლის თავზე ავიტანთ, კვლავ თავისუფლებას მოვიპოვებთ“...

იგრიალა ტაშმა... ახლო ხეივანიდან, თითქოს დასტური დასცაო, ბულბულის ტკბილი სტვენა მოისმა... შორით მტკვრის ტალღებმაც გაინავარდეს და თან წაიღეს გულიდან ამონახეთქი სიტყვები...

უცებ ოთარ დიდიძე ადგილიდან მოწყდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშის ახლო გაჩერდა, ათრთოლებული ხმით მიმართა დამსწრეთ:

„როგორც იცით სამშობლოს დასაცავად ზოგმა წიგნები ყუთში ჩავკეტეთ, ზოგმა ჩაქუჩი განზე მივდევით... ჩვენ დავმარცხდით უთანასწორო მტერთან ბრძოლაში, მაგრამ იარაღი არ დაგვიყრია... შეწყდა ქვემეხთა გრიალი, მაგრამ არ შეწყვეტილა ჩვენი გულის ძგერა და საჭიროების დროს იგი მზად არის ტყვიას კვლავ მკერდი მიუშვიროს... დამარცხებაში გაიზარდა და გაკაჟდა ქართული სული, მან კვლავ დაიბრუნა სალ-კლდოვანი სიმაგრე... თავდადებით უბედურების სუსხმა გასჭედა ჩვენი გადაწყვეტილება, შინა-ოჯახურ დავაზე ხელი ავიღოთ, რომ კვლავ გავხდეთ ღირსნი თავისუფალი სამშობლოს მზიური სითბოსი... ძველ მამა-პაპათა ძვლებით მოკირწყლულ ველებზე კვლავ უნდა გაისმას ყიჟინა ბრძოლის მიწა-წყლის გასანთავისუფლებლათ...

ოთარის სიტყვები ზარივით რეკდა, მსმენელთ იპყრობდა, ერთი აზრით სჭედდა, ერთი ფიქრით ასულდგმულებდა, იმედით აღფთოვანებდა, თითეული მისი მოწოდება დამსწრეთ აღელვებდა, თავდავიწყებაში აგდებდა...

გაათავა თუ არა ოთარმა, მოხუცი მას მივარდა გულში ჩაიკრა და ყველას გასაგონად წარმოსთქვა:

„დღიდან შემიძლია დაწყნარებული ვიყო, ჩვენს ქვეყანას ეზრდება ღირსეული შვილები“-ო...

თავყრილობა დაიშალა. ნაცნობნი ერთ-მეორეს ულოცავდენ 26 მაისს, ერთი-მეორეს ამხნევებდენ... შემდეგ კი დაშორდენ.:. ჩქარის ნაბიჯით აქეთ-იქით მიიმალენ...

---

იმ დროს, როცა ოთარის სიტყვები აჯადოებდა დამსწრეთ, რკინის-გზის სახელოსნოს მუშებს თავ-თავიანთი ცეხი მიეტოვებიათ და შეგროვილიყვენ ეზოში... „დიდების ხმა“ გრგვინავდა, სჭექდა, შავი ბოლით გამურულ კედლებსაც კი აბრწყინებდა, ანათებდა... ასეული გულიდა, ოფლით დასვრილ გულ-მკერდიდან სჩქეფდა შეუჩერებელი სურვილითა დენა, ბრძოლის ჟინით გაჟღენთილი... თითეულ სიტყვის ამოძახილს ამოჰქონდა გულთა სიღრმიდან დაგროვილი სიყვარული თავისუფლებისა, ბოღმა და სიძულვილი ძალადობისა, შეუწყვეტელი სურვილი თავდადებისა...

კედელთან აღმართულ ტრიბუნაზე მარდათ ახტა მუშა მიხეილ დვალი, რომლის სიტყვამ თითქოს მატარებლის სტვენაც კი ჩააჩუმა, რომელიც ნიშან-წვეტის უახლოვდება სტვენით, რომ თავის მოსვლა სადგურს აცნობოს...

ყველანი სულ-განაბული უსმენდენ და შესცქეროდენ ციმბირში ყოფნით გაჭაღარავებულ, ტკივილებით დაოჭეჭილ მუშის პირის სახეს, რომელმაც სიტყვის დათავებისას ხელი გაიშვირა იქვე აღმართულ წითელ და სამფეროვან დროშისკენ: — „ერთი სისხლით შეგვიღებეს, წაგვიბილწეს, თავისუფლების სიმბოლო მონობის ნიშნად აქციეს, მეორე მოხსნეს, აღკვეთეს, ფეხ-ქვეშ გათელეს; ჩვენი დაკოჟრილი ხელები მათ კვლავ თავის ადგილზე მიიტანს...“. გაათავა თუ არა სიტყვები ორატორმა, დამსწრეთ „გაუმარჯოს 26 მაისს“ ერთხმად დაიძახეს და დაიმალენ...

---

იმ დღეს ოთარმა კარგა ხანს იხეტიალა ქალაქში. შუა-დღე გადასული იყო, როცა ფიქრებით შეპყრობილმა სასახლის ახლოს მიაღწია, ბოძს მიეყრდნო და დიდ შენობას ცქერა დაუწყო.

„ამ რამოდენიმე წლის წინად ამ შენობიდან ქართველი ერის თავისუფლების დროშა დაჰყურებდა დედა-ქალაქს, იგი შვებას ჰგვრიდა ქართველთ, მათ გულში ადამიანურ ღირსების სიყვარულს ნერგავდა, მთელ კაცობრიობას ამცნობდა უფლება მისილ ერის დამოუკიდებელ არსებობას. აქ ერისაგან არჩეული პირები კანონს სცემდენ, შინაურ ცხოვრებას აწყობდენ... დღეს 26 მაისს, ქალაქის ყველა მცხოვრებნი აქ მოიყრიდენ თავს, აქ იქნებოდენ წარმოდგენილი ქართლ-კახელ-იმერთა წარმოგზავნილნი, ჩამწკრივებულნი პატარა მოწაფენი სამფეროვან დროშებით მარდათ ჩაივლიდენ თავისუფლების მოედანზე, ნორჩი ჯარის ნაწილები რიგ-რიგობით ამაყი მიხედვით სალამს მისცემდენ საქართველოს მთავრობას,,,

ნავთლუღ-ავლაბრის მეზურნეთა ლილინი, დოლზე ბარტყუნი, გააყრუებდა მიდამოს... დარბაისელ ქართველ ქალთა გუნდი ლეჩაქით მორთულნი, ნაზი რხევით, ზურგზე დაყრილი თმის ნაწნავებით მიპყრობდენ და მიაჯადოებდენ მაცქერალთ. დაიგუგუნებდა ხმა „დიდების“-ა და მილოცვას გაუგზავნიდა მთა-წმინდაზე მოსვენებულ ილია-აკაკის, ნაძალადევ მი გმირთა საფლავებს, სამშობლოს დღესასწაულს ამცნობდა, სიონის სამრეკლოდან ბოხი მოძახი-

# საქართველოს ამბები

## II

ვინც თვალ-ყურს ადევნებდა ქართულ მწერლობას საერთოდ, მან კარგათ იცის თუ რა რთული და მრავალფეროვანი იყო ის ჩვენი ქვეყნის დაპყრობამდე; იცის, თუ როგორი იდეური ბრძოლით იკაფავდა ის გზას ლიტერატურულ ფრონტზე, როგორი იწრთებოდა ამ ბრძოლის შეუწყვეტელ პროცესში და როგორი თანდათან იჭერდა საპატიო ადგილს მოწინავე მწერლობის რიგებში.

ქვეყნის დაპყრობას, უცხო ძალის გაბატონებას, არ შეეძლო, რასაკვირველია, გავლენა არ მოეხდინა მწერლობაზედაც და არ ცდილიყო დაეყენებინა ის თავის გავლენის ქვეშ და თავის მოსამსახურეთ არ გაეხადა. საბჭ. ხელისუფლება პირველი დღიდანვე შეუდგა ქართული მწერლობის გადაბირებას, და მისი გულის მოსაგებათ არც ხარჯს ზოგავდა, არც შრომას. რა პრივილეგიები არ მიანიჭეს მას, რას არ შეპირდენ, მაგრამ, ჩვენი მწერლობის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ გარდა ერთი თუ ორი გარეწარისა, საერთოდ, ქართული მწერლობა თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და სახელოვანი წარსულის შესარჩენათ თავი არ დაუზოგავს. ართმევდენ ერთ პოზიციას, გადადიოდა მეორეზე, ართმევდენ მეორეს — გადადიოდა მესამეზე და ასე ბოლომდე. ეს უმაგალითო ბრძოლა გრძელდებოდა მთელი წლების განმავლობაში და სრულიად უდავო ფაქტია, რომ ყველა რესპუბლიკების შორის, საქართველოს მწერლობა უკანასკნელი ჩაბარდა მტერს.

ქართული მწერლობისათვის ეს ხანა უეჭველათ, მეტად კრიტიკული იყო. იდეური ბრძოლას იყო შეჩვეული იგი და სული ეხუთებოდა იმ უჰაერო სივრცეში, რომელსაც საბჭოთა წყობა ქმნიდა. და ამ უჰაერო სივრცეში წლების განმავლობაში ისე ფართხალობდა ის, როგორც წყლიდან ამოვარდნილი თევზი. შედეგათ მივიღეთ ბოლოს და ბოლოს ის, რომ არც შინაარსი, არც ფაბულა და აღარც ფერები აღარ გავდენ წინანდელს ლაღს და თავისუფალს. ცნობილი და განთქმული მწერალი — ახლა საცოდავ მჯღაბნელს უფრო მოგაგონებდა, ვინემ გუშინდელ თავისუფალ კალმის პატრონს. ზოგი კიდევ სულ ჩაჩუმდა და წერაზე ხელი აიღო. ერთშიაც და მეორეშიც ხელისუფლებამ „სობოტაჟი“ დაინახა, შესაფერი ზომებიც მიიღო და მწერლობა საბოლოოთ გატეხა. დღეს იგი უკვე, ერთავად, საბჭოთა ხელისუფლების მონამორჩილია. დღეს პროზა და პოეზია ერთი-მეორეს ეცილება დამპყრობთა ქება-დიდებაში; გამართულია დოღი — ვინ ვის გაასწრებს, ვინ ვის დაჯაბნის მედროვეთა საღიდებლათ ფსალმუნების შეთხზვაში და რამდენათ მეტ ნიჭს გამოიჩენს რომელიმე მათთაგანი ამ სერვილიზმში, იმდენათ დიდია მისი „პრესტიჟი“, მისი ნაწერების ტირაჟი და მისი პირადი კეთილდღეობაც.

თუ წინეთ ქართველ მწერალს იშვიათად ლირსებია რუსულ, თუ სხვა რესპუბლიკის ენაზე გადათარგმნა — ახლა ეს თითქმის სავალდებულო შეიქნა. დღეს ბევრი ქართველი მწერალია გადათარგმნილი კავშირის ყველა ენაზე და ზოგი მათგანი ფრიად პოპულიარულიც გახდა მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

მას ფართეთ გამოეხმაურა საბჭოთა კრიტიკაც. ძალიან ხშირათ შეხვდებით მათ შესახებ ვრცელ წერილებს. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კრიტიკა დიდათ აღტაცებული იყოს ქართული მწერლობით. უკმაყოფილება უფრო ხშირია. ამიტომ მეტად საინტერესოა ამ უკმაყოფილების მოტივები.

---

ლი მტკვრის მონავარდე ტალღებზე გაითრითოლებდა...

26 მაისის ტკბილი და სურნელოვანი აიაზმით დალოცვილი ქალაქი თავდავიწყებას მიეცემოდა და მთელი დღე შუაღამემდე ლხინში გაატარებდა. ეხ უსამართლოებავ! ეს უკანასკნელი სიტყვა ოთარმა ისე ხმა-მაღლა წარმოსთქვა, რომ საკუთარი თავის შეეშინდა, შეკრთა, ადგილიდან დაიძრა, ქუჩები გადასჭრა, ავლაბრის აღმართს აჰყვა, ტრამვაიში ჩაჯდა და ნავთლუღში ერთ მეგობართან გაათია ღამე... მეორე დღეს დილით შიკრიკის საშვალებით გაიგო, რომ 26 მაისის დღესასწაულის ჩატარებისათვის სახელოსნოებში დაეჭირათ ორმოცამდე მუშა, ქალაქში მრავალი ოჯახებს თავს დასხმოდნენ, მისი მეგობრები და მასთან მომუშავენი „ჩეკის“ სარდაფში ჩაეყარათ. ოთარის გული კიდევ უფრო აენთო ბრძოლის წყურვილით...

ლეისპირელი

როცა ქართული კომ. კრიტიკა ესხმოდა თავს ქართულ მწერლობას, იგი ბრალს სდებდა მას იმაში, რომ ის „თავის მხატვრულ პრაქტიკაში მისტიურათ აბნელებს იმ ახალ მასალას, რომელშიაც ახალი ადამიანის სახე უნდა გამოამჟღავნოს"; რომ „ის ცილს სწამებს ახალ ყოფას"; „გვიყვება ძველ ზღაპრებს"; „მეათასეჯერ ღეჭავს სიყვარულის ისტორიებს"; „იძლევა ბოლშევიკებს ჰამლეტის სტილით"; „გულმოდგინეთ ავრცელებს ნაციონალისტურ ბოდვას" და „იქ, სადაც ცდილობს მოგვცეს ახალი ადამიანები და თანამედროვე ყოფა, აღარ ყოფნის მხატვრული ფერები და შემოქმედებითი შესაძლებლობანი"-ო. ამიერ-კავკასიის ცეკას გენ. მდივანი ორახელაშვილი, თუ გახსოვთ, საჯაროთ აცხადებდა: „ქართველ მწერლობას ჯერ კიდევ ნაფტალინის სუნი სდის"-ო. ეს იყო მაშინ.

სულ სხვა ნაირათ მიუდგა ქართულ მწერლობას სხვა რესპუბლიკის კრიტიკა და მათ შორის, პირველ რიგში, რუსი კრიტიკოსები: ესენი ძველ ურჩს და ახალ, დამორჩილებულ მწერლობასაც ახალ ბრალდებას უყენებენ.

ამ კრიტიკის მტკიცებით, ქართული მწერლობა ცოდვილია იმით, რომ ჩაკეტილია თავის რესპუბლიკის საზღვრებში; რომ მათი შემოქმედების თემები არ სცილდება საქართველოს საზღვრებს; რომ მათი ნაწარმოების გმირებში არ მოიძებნება არც ერთი, რომელიც ცდილობდეს ამ „ჩინური კედლის", როგორც ისინი სწერენ, — გარღვევას და ილტვოდეს დიდ საკავშირო შარა გზაზე გამოსვლას. უბრალოთ რომ ვსთქვათ, ადგილობრივი ცხოვრების თემატიკას ეს კრიტიკა აღიარებს ნაციონალიზმათ და ითხოვს ქართული მწერლობისაგან „ინტერნაციონალური სულით გაჟღენთას" თუ მსოფლიო მასშტაბით არა, საბჭოთა კავშირის ფარგლებში მაინც.

საკვირველია, სწერს ერთი მათგანი, ვცხოვრობთ ერთად, ვაშენებთ უნახავ და უჩვეულო ქვეყანას ერთად, გვაქვს ერთი და იგივე ლტოლვა-მისწრაფებანი და მწერლობაში კი თითქოს სხვა და სხვა ვართ. ქართველი მუშა თითქოს სხვა ვინმეა, ვთქვათ, ვინემ რუსი თუ უკრაინელი მუშა. ქართველი „კოლხოზნიკი" თითქოს სხვაა, ვინემ აზერბაიჯანის თუ ყაზახისტანის კოლხოზის წევრი და სხ. და სხ. რატომ და რისთვის ხდება ეს?" — კითხულობს ის და იქვე იძლევა პასუხს: მდგომარეობა ერთია, მაშასადამე, შეგნებაც ერთი უნდა იყოს და თუ არ არის — ეს იმიტომ რომ ქართული მწერლობა ჯერ კიდევ არ გადახარშულა სავსებით, ის ჯერ კიდევ დუღილშია, ჯერ კიდევ ბევრ მათგანს სწამლავს ის „შოვინისტური შხამი", რომლითაც გაჟღენთა მისი ორგანიზმი საქართველოს ორიოდე წლის დამოუკიდებელმა ნაციონალისტურმა ცხოვრებამ"-ო. ამ საშინელების სანიმუშოთ, პირველ რიგში, მოჰყავს ქუთათელის რომანი „პირისპირ".

ამ რომანში, — სწერს ვინმე კედრინი — რომლის სამი ტომი უკვე გამოვიდა — გარეგნულათ თითქოს ყველაფერი რიგზეა; აქ არიან ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, გლეხების მღელვარებაც, ფრონტის სალდათები და მათი დემონსტრაციები მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და პირველ წიგნში, განსაკუთრებით, „ერთი დუჟინი სიტყვებიცაა" ბოლშევიკური მოძრაობის დამახასიათებელი. უთუოთ ამან შეიყვანა შეცდომაში რედაქტორები და გამომცემლობა, რომ ამ რომანს ზედი-ზედ ბეჭდავენ. მაგრამ თუ დაკვირვებით გავეცნობით მის შინაარს, მაშინვე შევამჩნევთ იმ „ბურჟუაზიულ ობიექტივიზმს", რომლითაც უდგება ქუთათელი საქართველოს ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვან მომენტს.

მენშევიკების ლიდერებს, ქალაქის თავს და თავად-აზნაურობის წინამძღოლს ქუთათელი ასაღებს „საზოგადო მოღვაწეებათ!"; კონტრ-რევოლიუციონერ მენშევიკების მთავრობის წევრებს უწოდებს რევოლიუციონერებს; „ფონოგრაფის მიუდგომლობით" აღნიშნავს ის მენშევიკების ლოზუნგებს; ბოლშევიკებათ გამოყვანილი პერსონაჟები ყველა უფერულია, ისინი მართალია, ლაპარაკობენ საბჭოთა რუსეთთან ერთობის აუცილებლობაზე, მაგრამ, რომ ყველა ერის მუშების ინტერესი ერთი და იგივეა — ეს მათ ყურადღებას ნაკლებათ იპყრობს; მუშები და „ფრონტოვიკები" არია მუშათა წრეებიდან ყავს გამოყვანილი და კლასობრივ ბრძოლას ავტორი ხშირათ ნაციონალური ბრძოლით ჩრდილავს; რევოლიუციის და სამოქალაქო ომების ეპიზოდებზე წინ აყენებს „სიყვარულის ფათერაკებს" და თუ ყოველივე ამას მივუმატებთ „გამოკვეთილ მეშჩანურ სტილს" — ქუთათელის რომანები ნამდვილ „ქუჩურ რომანს" მოგაგონებთ.

ის ფაქტი, რომ ქუთათელის რომანები დაიბეჭდა და იბეჭდება კიდევ და რომ მას ასეთ აღფრთოვანებულ წინასიტყვაობას უძღვნის წიგნის რედაქტორი ლევან ასათიანი და რომ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერითი ეს განგაში არ იწვევს, ნათლად მოწმობს, რომ ქართულ მწერლობაში ყველაფერი რიგზე არაა და ამას პარტიამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს“-ო — დაასკვნის სასტიკი კრიტიკოსი.

კრიტიკა კარგად ხედავს რომ ქუთათელის რომანი სულაც არ იცავს დამოუკიდებლობის ხანას. პირიქით, ის ერთავად ამ ხანის გასაწბილებლად არის დაწერილი, მაგრამ ის არ დაგიდევს ამას. მისთვის საკმარისია, რომ რომანი ეხება იმ დროს და იმ ეპოქას, როცა არსებობდა დამოუკიდებელი საქართველო და ამას კი კრიტიკის აზრით „შეუძლია მკითხველს აღუძრას სურვილი ამ დროის გამოცნობისა“. საბჭოთა მწერალი მუდამ და ყოველთვის წინ უნდა უთითებდეს, ქუთათელი კი მკითხველს ახედებს უკან და „ვინ იცის იქნებ შეგნებულადაც იქ რაიმე იდეასაც ეძებსო“ — აბეზღებს ის რომანის ავტორს.

საზოგადოდ ქართულ მწერლობაში — სწერს მეორე კრიტიკოსი — ზედ-მეტი ყურადღება ექცევა ისტორიულ რომანებს. ქართულ ისტორიულ პროზას, მისი გადმოცემით, ახასიათებს ორი ტენდენცია: ეროვნული განკერძოება და „არისტოკრატიზმი“. ეს უნაყოფო ტენდენციებია, რომ უშლიან ხელს თანადროული თემების განვითარებას. წამყვანი როლი კი სწორედ ასეთ თემებს უნდა ეჭიროს, სწორედ ასეთი თემები უნდა განსაზღვრავდნენ მწერლობის განვითარებას. სინამდვილეში კი გაბატონებულია კ. გამსახურდია თავის „დავით აღმაშენებლით“ და მისი არქაიული მეთოდებით გაშუქებულ მოვლენების აღწერით.

ეს ტენდენცია იმდენად ძლიერია ქართულ მწერლობაში, რომ მას ვერ აცდა ისეთი ნიჭიერი მწერალიც კი, როგორიცაა ბელიაშვილი, რომელმაც თავის გმირების მოქმედების ცენტრი ერთავად სამეფო ოჯახში და მის ირგვლივ გადაიტანა. ეროვნული თვისებების და ღირებულების შემქმნელ-მატარებელია უბრალო ხალხი, ბელიაშვილი კი ყოველივე ამას მეფეების გარშემო ატრიალებს და ეს იმას მოწმობს, რომ მწერალი ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული ძველი დახავსებული შეხედულებებისაგან.

ჩვენ — განაგრძობს კრიტიკოსი — იმიტომ ვეხებით ასე ვრცლად ქართულ ისტორიულ რომანების ნაკლს, რომ მას შეუძლია მავნე გავლენა იქონიოს და თანადროულ თემას თავის დაღი დაასვასო. და რომ ეს უსაფუძვლო შიში არაა ამტკიცებს მწერალი ლ. ქიაჩელიო. ქიაჩელი უთუოდ დიდი მწერალია, მისი „ტარიელ გოლუა“ და „გვადი ბიგვა“ მართლაც რომ თვალსაჩინო ნაწარმოებია, მაგრამ მისი უკანასკნელი ნაწარმოები „მთის კაცი“ სულ არ გავს წინანდელთ. „მთის კაცი“-ს უმთავრესი გმირი იმდენად ძლიერი, რომ იცავს ძველ ტრადიციებს და ყველა, ვინც მის გარშემოა, მათ შორის კომუნისტები და კომსომოლებიც, ქედს იხრიან მის წინაშე სწორედ ამ ძველი ცხოვრების და ძველი ტრადიციებისათვის. კიდევ მეტი. რომანში უკანასკნელი საშინელი ომის ეპიზოდებიც კი უმეტეს შემთხვევაში გამოიყურებიან, როგორც ბრძოლა ამ ძველი წესების და ადათ-ჩვეულებების დასაცავად.

რუსული კრიტიკა მეტად უკმაყოფილოა კოლხოზებზე დაწერილი რომანებით. ქართველი ავტორები — სწერენ ისინი — შეგნებულად არ უშვებენ თავის გმირებს კოლხოზის საზღვრებიდან, მათთვის თავის კოლხოზის იქით თითქოს აღარაფერი არსებობს და ეს მაშინ, როცა საბჭოთა იდეები დიდი ხანია კავშირის საზღვრებს გასცილდა და მსოფლიოს დაპატრონებისათვის ემზადება. და აი, ასეთ დროს, ქართულ მწერლობას მხოლოდ თავის კოლხოზიდან და ნაციონალური დამოუკიდებლობის სასაფლაოდან გამოჰყავს თავის გმირები და მთელ საბჭოთა რუსეთის სივრცეზე თავისუფლად ატარებენო — ჯავრობს კრიტიკოსი.

კრიტიკას ძალიან მოსწონს ვინმე ახალ-გაზრდა მწერალი დ. დონჯაშვილი. მოსწონს იმიტომ რომ მან, თავის გმირები ჯერ სოფლიდან ქალაქში ჩამოიყვანა, შემდეგ საქართველოს რესპუბლიკასაც გამოაცილა და საკავშირო შარა გზაზე დააყენაო. მისი გმირები აზროვნებენ არა როგორც ერთი რომელიმე კოლხოზის წევრი, არამედ როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მეგობარნი. და ეს მეგობრობა სხვა რესპუბლიკის ხალხებთან ხომ სინამდვილეს შეიცავენ და რეალურ ფაქტებსაც ეთანხმებაო. ასეთი მეგობრობის ქადაგება უპირველესი მოვალეობაა ნაციონალური მწერალის და სამწუხაროა, რომ ქართულ მწერლობაში ის მხოლოდ თითო-ოროლა ნაწარმოებში თუ იჩენს ხოლმე თავს და ისიც ახალგაზრდებში, რომელთაც ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ უფროს თაობიდან, თუ როგორ უნდა სწერონ.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ კრიტიკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რ უ ს ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ ი

ბოლშევიკთა იმპერია, უკანასკნელი ომის დროს, დასავლეთის დემოკრატიამ სიკვდილისაგან იხსნა. გამარჯვების შემდგომ თავის მხსნელს იგი მოსისხლე მტერად მოევლინა და ლამობს მთელი კაცობრიობა დაიმონაოს. სხვა გამოსავალი არც აქვს, რადგან დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ცივილიზაციის არსებობა ბოლშევიზმის სიკვდილია.

„რკინის ფარდის" აზრი მხოლოდ ოცნებაა და სხვა არა რა. ბოლშევიკთა იმპერია საშიში ანაქრონიზმია, უფრო საშიში ვიდრე ცარებისა იყო. ძველ რუსეთს თავისუფალი ერების შიგნიდან მოწამვლის საშუალება არა ჰქონდა, — ახალს, ბოლშევიკურს, კი აქვს. კულტურულ და თავისუფალ ქვეყნებში, რუსეთის მოტრფიალე „ცარისტული" პარტიის არსებობა წარმოუდგენელი იყო. სხვა სიმწვავის საშიშროებას წარმოადგენს დღევანდელი რუსეთი. დიდი ომებით დაავადებულ დასავლეთის ერების წიაღში დაარსდენ მოსკოვის ყურმოჭრილი მონა — ძლიერი პარტიები. ციხის ალებას ტროული ცხენი აადვილებს. ბოლშევიზმი თავისუფალ ერებს შიგნიდან გახრწნით და გარედან დაპყრობით ემუქრება, — უმზადებს ისეთსავე მონობას, როგორშიდაც საქართველო ჩაამწყვდია.

დასავლეთმა უკვე გამოცდილებით იცის, რომ ყოველი ცდა ბოლშევიკებთან შეთანხმებისა უნაყოფოდ ჩაივლის. კომუნისტების წყალობით შექმნილ პირობებში, ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია. ბოლშევიზმი დამარცხდება, რადგან იგი წარმოშობით რუსული მოვლენაა, სხვა ერებისათვის უცხო და მომაკვდინებელი. რუსეთის ნიადაგზედ დასავლეთის მონარქიზმმა სტეპის და ტუნდრას სახე მიიღო, — სტეპისა, ტყისა და ჭაობის კომუნიზმის სახე მიიღო ევროპის სოციალიზმმა.

ბოლშევიკთა იმპერიის დამხობის შემდგომ, ვითარი რუსეთი მოგვევლინება? აი მთელი კაცობრიობისათვის დიდი საკითხი.

1914 და 1939 წლის კატაკლიზმებით მძიმედ დაკოდილ დასავლეთისათვის აუცილებელია დღეგრძელი და მყარი მშვიდობიანობა, რომ წე-

---

არც ქალების პერსონაჟები აკმაყოფილებს — საკმარისად დატვირთულნი არ არიან საზოგადოებრივი მუშაობით და მოღვაწეობით და ამაში ხედავს წარსული რაინდული ეპოქის გავლენას, როცა ქალი მხოლოდ ტრფობის ობიექტი იყო და სხვა არაფერი. დღეს, როცა საბჭოთა კავშირში ქალი და კაცი გათანასწორებულია ყოველგვარ უფლებაში, იქ, სტალინის სამშობლოში, ქალი ჯერ კიდევ მეორე ხარისხოვანათ არის წარმოდგენილი, როგორც პოლიტიკურ, ისე სხვა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ეს უნდა გამოსწორდესო. კრიტიკა არც იმას ტოვებს უყურადღებოთ, რომ ჭეიშვილის ერთ მოთხრობაში, მუშა-ქალი თავის სატრფოსთან შეხვედრის გამო, რამოდენიმე წ უ თ ს აგვიანებს სამუშაოზე. ასეთი ტრფობა - სიყვარული წმინდა ბურჟუაზიულიაო — აცხადებს ის. იწუნებენ იმასაც, რომ ქართულ მწერლობაში პირადი და საზოგადო ჯერ კიდევ არაა ისე შედუღებული, რომ ვერ შეამჩნიოთ სად იწყება პირადი და სად — საზოგადო.

მეტად სასტიკათ მოეპყრო რუს. კრიტიკა რ. გვეტაძეს — რომანისათვის: „ისევ იწყება ცხოვრება". მან არ დაზოგა არც საქ. კომ. პარტიის ყოფილი ოფიციალური კრიტიკოსი ბეს. ჟღენტი, რომელმაც, მისი გადმოცემით, გვეტაძის ამ რომანს აღფრთოვანებული ბოლოსიტყვაობა უძღვნა, ხოლო ნაკლის აღნიშვნა საჭიროთ არ დაინახა. ეს ნაკლი კრიტიკოსის აზრით არის ის, რომ მწერალს იქვე გვერდით აქვს შესანიშნავი რუსთავის ქარხანა, სადაც დღიან-ღამიანათ ათასეულები კომუნიზმს ამყარებენ და ნაცვლათ იმისა რომ აქ, ამათში ეძებდეს თავის რომანის გმირებს, მას სადღაც, ტყეში გაჭრილი „სანტიმენტალური მეშჩანური გრძნობების ამყოლი პირები" გამოყავს თავის რომანის გმირებათ. ამის შესახებ ამხ. ჟღენტმა კრინტიც კი არ დაძრაო.

საერთოდ ქართულ მწერლობას — დაასკვნიან ისინი — ბევრი ღირსეული მწერალი ამშვენებს და ქართული პროზის ასეთი დაუშვებელი ჩამორჩენის გამოსწორება არც ისე ძნელი იქნება, თუ მწერლები მოისურვებენ . და თუ არ მოისურვებენ, ამისათვის არსებობს პარტია და მისი სიფხიზლე...

თუ რას ნიშნავს ეს — „პარტია და მისი სიფხიზლე", ქართულმა მწერლობამ კარგათ იცის და არა ერთხელ გამოუცდია ის...

ა. ვანიძე

ლში გაიმართოს, ჭრილობანი განიკურნოს, აღიდგინოს დაკარგული სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა, იცხოვროს მშვიდად და სხვასაც მშვიდობა მიანიჭოს. მოდერნულ ევროპაში და ამერიკაში სურვილი ერთაშორის მეგობრულ თანამშრომლობისა არასოდეს ყოფილა ესოდენ ძლიერი, როგორც ამ ჟამად. ამ სურვილის განხორციელებას შეუძლებელ ჰყოფს დღევანდელი რუსეთი. რასა იქმს ხვალინდელი? ვინ უწყის უფლისა კიდე, რისგან შესდგება ხვალე! ხოლო, თუ გვსურს მოსალოდნელზედ რაიმე აზრი ვიქონიოთ, წარსულს უნდა მივმართოთ.

რუსთა წარსული ძირითგანვე განსხვავდება დასავლეთელთა, ქართველთა და სხვა ერთა წარსულისაგან. რუსეთი იქმნებოდა დასავლეთის ცივილიზაციის გარეშე.

როდესაც მეთორმეტე საუკუნეში, სუზდალის ტყისა და ჭაობის რუსეთმა, ანდრეი ბოგოლიუბსკის მეთაურობით, გასძარცვა, გადასწვა და მიწასთან გაასწორა კიევის რუსეთი, რომელსაც დასავლეთთან სულიერი კავშირი კიდევა ჰქონდა და ცენტრი ჩრდილოეთის სტეპზედ და ტყეში გადაიტანა, მან რუსთა მომავალი ისტორია ევროპის ცივილიზაციისაგან გამიჯნა.

უსაზღვრო, უპეიზაჟო სტეპი ვერ აღუძრავდა მცხოვრებლებს მშობელ კუთხისადმი სიყვარულის გრძნობას, ვერ დაამკვიდრებდა ერთ ადგილზედ. სტეპი თვალუწვდენელია, უჰორიზონტო, ურელიეფო. იგი ადამიანს სივრცეში სახეტიალოდ უხმობს. რუსი ერთ ადგილზედ ვერ დარჩება. საჭიროა ძალით გააჩერონ, ძალით ამუშაონ, რათა მიწამ ნაყოფი გამოიღოს და სახელმწიფომ თუ ბატონმა იარსებონ. ადამიანის ძალით ამუშავება მხოლოდ თავისუფლების წართმევით, დამონებით შეიძლება. სახელმწიფომ ბატონს „მუჟიკი" უუფლებო პირუტყვად მიუსაკუთრა, სამაგიეროდ, ბატონი სახელმწიფოს მოხელედ, მის მონად უნდა ყოფილიყო. წარმოიშვა განუსაზღვრელი ტირანობა, ურომლისოდ მონობა ვერ იარსებებს.

მონღოლთა ბატონობის ბოლო ხანებში, მოსკოვი ძლიერდება; „რუსთა მიწების შეკრებისათვის" სხვა სამთავროებს ძალით იპყრობს, ძალით „ამოსკოველებს": იმპერიალიზმს, ექსპანსიას საძირკველი ჩაეყარა. ეს ტირანია ოთხჯერ იცვლის სახეს: სუზდალ-როსტოვისა და მოსკოვის დიდი მთავრებისა; მოსკოვის ცარებისა, (ივანე მესამე, ივანე მრისხანე, ბორის გოდუნოვი და სხვანი); სანკტ-პეტერბურგის იმპერატორებისა და, დღეს, ბოლშევიკებისა. მათი შინაარსი და მიზნები უცვლელნი არიან.

რუსეთის საშინელი დრამა, რაც დღეს დასავლეთს ესე ძვირად უჯდება, იმის შედეგია რომ მას, რუსეთს, არ განუცდია არც ძველი საბერძნეთის და არც რომის გავლენა; დარჩა ევროპის საშუალო საუკუნეებისა და ფეოდალობის განვითარების გარეშე, გარეშე იმ ეპოქისა, როდესაც ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივობა, ბუნებრივი დამცველი თავისუფლებისა და ხალხის უფლებებისა სახელმწიფოს დესპოტიის წინააღმდეგ; უშუალოდ არ განუცდია იტალიისა და ევროპის სხვა ერების „აღორძინება". თავისუფლად და ბუნებრივად განვითარებული ევროპაში, სულიერი და მატერიალური ცივილიზაცია, ისტორიაში უწინ არ ცნობილი სიძლიერით გარდაიფურჩქნა ქრისტიანობის ნიადაგზედ, რომლის უმთავრესი პრინციპი პიროვნების თავისუფლება არის.

რუსეთის იმპერიას უპიროვნებო მონა ჰქმნის და ასაზრდოებს; ევროპას — თავისუფალი პიროვნება. აი, ამ თავისუფლების შიშით, მოსკოვის ცარებმა ჩამოუშვეს „რკინის ფარდა" — არა ახალია, ძველია. და თუ, დროგამოშვებით, იმპერატორები ოდნავ მაინც ასწევდნენ ხოლმე მას, ბოლშევიკებმა იგი „რკინის ფარდა" ჰერმეტულად ჩაყორეს.

ველიკორუსი ჯერ კიდე ეროვნულად თვითშეგნებული არ იყო, როდესაც მისი სახელმწიფო იმპერიალიზმის გზას დაადგა. ამიტომ ველიკორუსს ველიკორუსული პატრიოტიზმის გრძნობა დღესაც არა აქვს განვითარებული. იგი იმპერიის ნაციონალისტ - შოვინისტია. მისი თავმოყვარეობისათვის სულ ერთია, ვინ იბატონებს: ვარიაგი, გერმანელი, რუსი, ქართველი თუ სხვა, ოღონდ იმპერია იზრდებოდეს, უცხოელნი რუსდებოდენ. ლენინი კარგად იცნობდა თავის ერს და ამბობდა: „ქვეყნიერებაზედ არ არის რა ველიკორუსის შოვინიზმზედ უსაზიზღრესიო". მაქსიმ გორკი, ბოლშევიკების გაბატონების შემდეგ სწერდა თავის გაზეთში: „... განსაკუთრებითი ეჭვით და უნდობლობით ვუმზერ რუსს, ძალა-უფლების მქონეს. გუშინ კიდევ მონა, იგი უსასტიკესი დესპოტი გახდება, როდესაც სხვის ბატონად იგრძნობს თავს"" *).

---

*) ეგ. ალექსინსკი — (Le Figaro Litteraire, 13 mars 1950).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის ტრაღედია იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ ძალით დაპყრობილი, ან ცბიერებით დამონავებული ერები კულტურულად მასზე ან მაღლა იდგნენ, ან არა დაბლა. სულიერი საზრდოს მათ ვერ მისცემდა, მატერიალურად წინ ვერ წასწევდა, ვერ გაიერთგულებდა. ამ ერების წინააღმდეგობის დასამსხვრევად ერთად-ერთი საშუალება გააჩნდა: ძალით გარუსება, პოლიციის (ოპრიჩინა, ოხრანა, ჩეკა) უსაზღვრო უფლებიანი, ყოვლის შემძლე ადმინისტრაცია. აი, ამ ადმინისტრაციის არსებობას, ან მის წინააღმდეგ უნაყოფო ბრძოლას შეელია რუსთა ნიჭი და ენერგია.

რომანოვთა შორის ბევრნი ევროპიელთა მიერ იყვნენ აღზრდილნი და დიდად განათლებულნი, არა ერთი მათგანი ეცადა თავისუფლებისათვის, ცივილიზაციისათვის გზა გაეხსნა. ყოველი ეს ცდა მარცხით დამთავრდა, რადგან იმპერიის არსებობას ემუქრებოდა. რუსთა თავისუფლება იმპერიის ინტერესებს სხვერპლად ეწირებოდა. ბოლშევიკებმა ერებს თავისუფლების კონსტიტუცია მიანიჭეს. ხოლო ის ცოტაც კი, როგორიც ენის თავისუფლება, ადგილობრივი მმართველობის ავტონომია არის, იმპერიის მთლიანობისათვის საშიში აღმოჩნდა და ბოლშევიკები არა-რუსთა გარუსების პოლიტიკას კვლავ დაუბრუნდნენ.

რუსების ბედი, ვფიქრობ, სხვანაირად განვითარდებოდა, იმპერიის ზრდა ერთად-ერთ მიზნად რომ არ დაესახათ. რუსი უნიჭო არ არის. პუშკინს, ლერმონტოვს, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ბოროდინს (ქართველი მამით, რუსი სულით), მუსორგსკის, ჩაიკოვსკის, რეპინს, მენდელეევს უნიჭო ერი ვერ წარმოშობდა. ამ ნიჭიერ ადამიანთა არსებობა გვარწმუნებს, რომ თავისუფალი რუსის ერი მეტს შესძლებდა, დასავლეთის კულტურას და პოლიტიკური თუ სოციალური ინსტიტუტებს ადვილად შეითვისებდა. იმპერიის არსებობა თავისუფლების დამყარებას შეუძლებლადა ჰხდის.

ჩამორჩენილს, ხოლო არა უნიჭო რუსის ხალხს ხანგრძლივი მშვიდობიანობა და დასავლეთთან მეგობრული თანამშრომლობა ესაჭიროება, რომ კულტურული, თავისუფლების მოყვარე ერად შეიქმნეს. შესძლებს ამას? შესძლებს განთავისუფლდეს მონობისა და სხვა ერთა დამონების პოლიტიკის მძიმე მემკვიდრეობისაგან?

რუსთა შორის, ცივილიზაცია, მართალია დაგვიანებით და ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც გზას იკვლევდა. იქმნებოდა განათლებულთა „კლასი" - „ინტელიგენცია". სუსტი იყო იგი და სულიერი რასხიტიზმით დაავადებული, ხოლო ერთი ნაწილი მაინც ამ „ინტელიგენციისა" დასავლეთის გულწრფელი მეგობარი იყო და იქითგან ელოდა ხსნას. და აი, სწორედ ეს დადებითი ნაწილი განათლებულ რუსთა, ბოლშევიკებმა ან სიკვდილს მისცეს, ან სამშობლოთგან განსდევნეს. რასა ჰფიქრობს ბოლშევიკების მიერ უტყვად ქცეული ერი? არავინ იცის.

ბოლშევიკების დამხობისას, ჩაგრული ერები მყის აღიდგენენ წართაცებულ თავისუფლებას. როგორ მიიღებს ამ მოვლენას რუსი? თუ გულწრფელად და უდავოდ სცნო ერთა აბსოლუტური უფლებიანი თავისუფლებისა, საკუთარ თავისუფლებასაც მოიპოვებს, — დამყარდება კეთილ-მეზობლობა. მოისურვებს, მსგავსად კომუნისტებისა, ძალ-მომრეობით აღადგინოს იმპერია? თუ შესძლო, — მისი (იმპერიის) მთლიანობის დაცვას შესძლებს მხოლოდ ახალი ტირანიის შექმნით, ახალი ჩეკის საშუალებით. ამ შემთხვევაში იგი კვლავ ახლად უნდა შეებრძოლოს თვით პრინციპს თავისუფლებისას, ახლად დაუშვას „რკინის ფარდა", ახალ მტრად მოევლინოს დასავლეთს და მის ცივილიზაციას.

რუსთა მომავალი და ეგრეთვე დასავლეთისა და დამონავებულ ერების ინტერესები მოითხოვენ რუსეთი იმპერიალისტურ ზრახვებისაგან განთავისუფლდეს, შეჰქმნას იმპერიითგან თავისუფალი ველიკოროსთა ძლიერი ეროვნული სახელმწიფო და ის ნიჭი, რაც ღმერთს მისთვის მიუსჯია, თავის ერის და კაცობრიობის საღ ინტერესებს მოახმაროს.

დასავლეთის ერები და ჩვენ, რუსთა მიერ ჩაგრულნი, სხვას არას მოვითხოვთ და ხელსაც შევუწყობთ, რამდენადაც შეგვიძლიან, თუ ველიკორუსია ამ ნათელ გზაზე დადგომას მოისურვებს.

გიორგი კერესელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნიზმის და კაპიტალიზმის თანაარსებობა

ამერიკულ ჟურნალისტების მიერ დასმულ ოთხ საკითხზე სტალინმა თავისი პასუხი ამ ჟურნალისტებს ევროპიდან ამერიკაში მათი მიფრინვისთანავე საბჭოთა მაღალი ჩინოვნიკების საშუალებით ჩააბარა და იგივე პასუხი ერთი ამ ჟურნალისტთაგანს — ჯეიმს ვიკს — მის კერძო ბინაზედაც საჩქაროდ მიურბენინა გასული აპრილის პირველი დღეს.

რამ შეაწუხა, რამ ააჩქარა ასეთნაირად ყოვლის შემძლე დიქტატორი?

საქმე იმაშია, რომ ოთხ აპრილს მოსკოვში იხსნებოდა ინტერნაციონალური ეკონომიური კონფერენცია, რომელზედაც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების კომერსანტ-ინდუსტრიელები. სტალინი ფიქრობდა მისი განცხადებით მოეხდინა კარგი შთაბეჭდილება ამ კონფერენციაზე დამსწრე დელეგატებზე და მოეპოვებია ერთნაირად მათი ნდობა, რათა მოსკოვს მისცემოდა საშუალება დაედვა სავაჭრო ხელშეკრულებები მრეწველობის სხვადასხვა დარგთა წარმომადგენლებთან.

ამერიკის მთავრობის და ატლანტიკის, თუ ევროპის ქვეყნებთა შორის დიდი ხნის მოლაპარაკების და შეთანხმების შედეგია, რომ გამომუშავებულ იქნა სპეციალური სია სამხედრო მიზნისთვის საჭირო ნედლი მასალისა და სამასამდე ეგრედ წოდებულ „სტრატეგიულ" ნაწარმოების, რომლის გატანა საბჭოთა რუსეთში სასტიკად აკრძალულია.

მოსკოვმა ინტერნაციონალური ეკონომიური კონფერენციით ვერ შესძლო არა თუ მიღება რომელიმე უკვე აკრძალული „სტრატეგიული" ნაწარმოების, არამედ ამ კონფერენციაზე არც სხვა რაიმე დიდი მნიშვნელობის სავაჭრო ხელშეკრულება დადებულა.

მაგრამ საინტერესოა, თუ რა განცხადებებით ფიქრობდა სტალინი მის მიერ განზრახულ ასეთი დიდი შედეგების მიღწევას მოსკოვის კონფერენციაზე?

ამერიკულ ჟურნალისტების შეკითხვაზე, საერთაშორისო ომი დღეს უფრო ახლოა, თუ ორი-სამი წლის წინ იყო, სტალინმა უარყოფით უპასუხა. და აბა ომის რომელი მამზადებელი, თავდამსხმელი და აგრესორი გეტყვის წინდაწინ, რომ ის ომს ამზადებს და ხვალ, ზეგ თავს დაგესხმება?

ჟურნალისტების ოთხი საკითხიდან ორი კითხვა, რომელიც დიდი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრას და გერმანიის გაერთიანებას ეხებოდა, ჩვენთვის ამ ჟამად ნაკლებ ინტერეს წარმოადგენს და მასზე არ შევჩერდებით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კი მეორე საკითხი, რომელიც კომუნიზმის და კაპიტალიზმის მშვიდობიან თანაარსებობას ეხება და რომლითაც სტალინს უნდოდა მოსკოვის კონფერენციის დელეგატებზე დიდი გავლენა და შთაბეჭდილება მოეხდინა.

სტალინი აცხადებს, რომ კომუნიზმის და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია, თუ არის თანამშრომლობის საერთო სურვილი, თუ ყველანი მზად არიან შეასრულონ ხელმოწერილი ვალდებულებანი და თუ იცავენ თანასწორობის და სხვა ქვეყნებითა შინაურ საქმეებში ჩაურეველობის პრინციპსო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკების გაგებით და განმარტებით კაპიტალისტურათ იგულისხმება საზოგადოების არა მხოლოდ ბურჟუაზიული ნაწილი, არამედ მისი რადიკალ-დემოკრატიული და სოციალისტური სექტორიც.

სტალინს უნდა გულუბრიყვილნი დააჯეროს, რომ ის მომხრეა საერთო თანამშრომლობის, ყველა მის მიერ ხელმოწერილ ვალდებულებათა შესრულების და სხვების შინაურ საქმეებში ჩაურეველობის და, რაც მთავარია, აშკარად აღიარებს კომუნიზმის და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას.

მაგრამ საბჭოთა კავშირის დიქტატორი კომუნიზმის და კაპიტალიზმის თანაარსებობის შესახებ სხვადასხვა დროს ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრს სწერდა, და ამბობდა.

თავის წიგნაკში („ლენინიზმის პრინციპები") ერთ ადგილას, რომელიც ბოლშევიკურ „სტრატეგიას და ტაქტიკას" ეხება, სტალინი 1924 წელში სწერდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიზანია განმტკიცება პროლეტარიატის დიქტატურისა ერთ ქვეყანაში და ამით სარგებლობა, როგორც დასაყრდნობი ფუძით, რათა იმპერიალიზმი ჩამოდგებულ იქმნას ყველა სხვა ქვეყნებში; ამ შემთხვევაში რევოლუცია გამოდის ერთი ქვეყნის ჩარჩოდან და იწყება მსოფლიო რევოლუციაო. მაგრამ ბოლშევიკური სტრატეგიის გასამარჯვებლად, განაგრძობს იგი, „საჭიროა ჩვენ მანიოვრები ვაკეთოთ, მწყობრიდან უკან დავიხიოთ, როცა მოწინააღმდეგე ძლიე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, რადგანაც მეტად საშიშია ბრძოლა მივიღოთ, თუ ძლიერი მოწინააღმდეგე ცდილობს ბრძოლაში ჩაგვითრიოს; უკან დახევა, ძალთაგანწყობილების მიხედვით, ერთად-ერთი საშუალებაა იმის, რომ ჩვენს მოწინავე რაზმებს დამარცხება თავიდან ავაცილოთ და მას მისი ძალები უვნებლად შევინარჩუნოთ; ასეთი სტრატეგიის მიზანია დროის მოგება, მოწინააღმდეგის რიგებში დემორალიზაციის შეტანა, მთელი ჩვენი ძალების თავის მოყრა და შემდეგ კი თავდასხმაზე გადასვლა“-ო.

ლენინი მუდამ ამტკიცებდა, სტალინი კი მას კვერს უკრავდა, რომ კაპიტალიზმი და კომუნიზმი ორი სხვადასხვა სისტემაა, რომელნიც ეყრდნობიან ორ სხვადასხვა შეურიგებელ პრინციპს და რომელთა შორის იარაღით ხელში კონფლიქტი აუცილებელია. მათი აზრით აუცილებელი საჭირო იყო საბჭოთა რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და, შემდეგ, ამაზე დაყრდნობით და მისი ძალების დახმარებით მსოფლიო რევოლუციის მოხდენა.

ეხლა კი სტალინი კომუნიზმის და კაპიტალიზმის მშვიდობიან თანაარსებობას შესაძლებლად სთვლის და ამას დიდი ამბით და დიდი სენსაციით ეხმაურება მთელი ევროპის და ამერიკის კომუნისტური თუ კომუნიზანური პრესა. შეიძლება ამათი ასეთი ახმაურება ერთნაირ გავლენას ახდენდეს საზოგადოების, თუ გინდ, მცირე ნაწილზე და მას იმედს აძლევდეს სტალინის და მისი ამალის პოლიტიკის შეცვლაზე.

მაგრამ ეს ღირსესანიშნავი ფორმულა კომუნიზმის და კაპიტალიზმის მშვიდობიან თანაარსებობისა — არა ერთხელ წარმოსთქმულა სტალინის, თუ ამ უკენესკნელის დავალებით, მისი ჩინოვნიკ-მოხელეების მიერ. ეს ფორმულაც ძველია, არა ახალი. ამ ფორმულას ხშირად იმეორებდენ წარსულში საბჭოთა მთავრობის წევრნი: ჩიჩერინი, ლიტვინოვი, მოლოტოვი და სხვები.

აი რას ამბობდა თვით სტალინი რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-15-ე ყრილობაზე 1927 წელს: „ჩვენ ვერ დავივიწყებთ ლენინის გაფრთხილებას, რომლის მიხედვით ჩვენ მიერ სოციალიზმის აღმშენებლობა დიდად დამოკიდებულია იმისგან, თუ ჩვენ შევსძლებთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ომის შეგვიანებას. ეს ომი აუცილებელია, მაგრამ შესაძლებელია ის გადადებული იქნას, სანამ ევროპაში პოლიტიკური რევოლუცია მომწიფდებოდეს, ან სანამ კოლონიალურ ქვეყნებში რევოლუციები დაიწყებოდეს, ან, დაბოლოს, კაპიტალისტები კოლონიების დასაყოფად ერთმანეთს დაეტაკებოდენ. მანამდე კი კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დაჭერა აუცილებელია. ამ ქვეყნებთან დამოკიდებულობის საფუძველია, დაშვება ორი მოწინააღმდეგე სისტემის თანაარსებობისა“-ო.

ამნაირად, თუ საბჭოთა რუსეთი დღეს მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეა, ეს არა იმიტომ, რომ ვითომც, მას თავისთავად მშვიდობიანობის იდეა და სიყვარული ასულდგმულებდეს, არამედ ეს არის მისი ტაქტიკურ-სტრატეგიული მანევრი, რომ დრო მოიგოს, ამ დროის განმავლობაში მოემზადოს, ყოველივე მხრივ შეიარაღდეს და მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოს.

მთელი ამ წლების განმავლობაში კრემლი ფიქრობდა არა მშვიდობიან თანამშრომლობაზე ევროპა-ამერიკის დემოკრატიულ ქვეყნებთან, არამედ მთელი მისი მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ ამ ქვეყანათა აღმშენებლობითი მუშაობისათვის ყოველნაირად და ყოველივე საშუალებით ხელი შეეშალა და ამ გზით გამოწვეული სისუსტით და უკმაყოფილებით ესარგებლა.

ამ მიზნით დაარსდა კომინფორმი და კრემლი ებრძოდა მარშალის პლანის განხორციელებას და ომით დიდად დაზარალებულ დემოკრატიულ ქვეყნების ეკონომიურად ფეხზე წამოყენებას. ამავე მიზნით იყო, რომ მან მის სატელიტ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ნება არ მისცა ამ ეკონომიური დახმარებით ესარგებლათ და ამით ისინი საბჭოთა რუსეთის გავლენას ადვილად დაუმორჩილა.

მოსკოვი ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ ამავე დროს მთელი მისი შესაძლებლობით და ენერგიით მსოფლიო ომს ამზადებს.

ზავისკენ სტოკგოლმის მოწოდებაზე კრემლის ინსტრუქციით ყველა ქვეყნებში ასეული ათასობით ხელს აწერინებდენ. მაგრამ სულ მალე ამ მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ, მოსკოვის რჩევით, წაქეზებით და დახმარებით კომუნისტებმა კორეაში ომი გააჩაღეს.

ბოლშევიკები ცდილობენ მათი პროპაგანდით დემოკრატიულ ქვეყნებში შთაბეჭდილება შექნან, რომ საბჭოთა რუსეთი მშვიდობიანობის მომხრე და მოყვარული ქვეყანაა, ამით ეს ქვეყნები შეცდომაში შეიყვანონ და ყოველგან იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკა

უდავოა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორია, მთლიანათ აღებული, ბუნების მიერ უხვად არის დაჯილდოებული; საბჭოთა ხელისუფლებაც ყოველგვარ ზომას იღებს, რათა ეს მდგომარეობა გამოიყენოს.

დიდი ხნის განმავლობაში, ამ უკანასკნელ გარემოებას თითქოს ჯეროვან ყურადღებას არც კი აქცევდენ დასავლეთის ქვეყნებში და მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაინახეს რომ საბჭოთა კავშირმა თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები უმთავრესად შეიარაღებისთვის გამოიყენა, ყველამ დასცქვიტა ყურები.

ამერიკელი ინჟენერი, ბ-ნი **Littlepage**, რომელმაც დიდი ხანს იცხოვრა საბჭოთა კავშირში და იქ დიდი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა სახალხო მეურნეობაში, ერთი იმ უცხოელთაგანია, ობიექტიურათ რომ აწერა საბჭოთა კავშირის ეკონომიური შესაძლებლობანი და ცნობები ამის შესახებ გარედ გამოიტანა იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი გარდაუვალ კედლებში იკეტება და ცდილობს არავითარი საინტერესო ცნობა გარედ არ გამოუშვას. კერძოთ, ავტორი ეხება ციმბირს.

„სანამდის ციმბირი — ამბობს იგი — რუსების უჭირავს ხელში, მათ არაფერი აქვთ თავსატეხი, როგორიც უნდა იყოს მათი ქვეყნის მმართველობის პოლიტიკური სისტემა. მათ შეუძლიათ, თუ დასჭირდათ, დასტოვონ კიდეც ევროპიული რუსეთის დიდი ნაწილი, თუმცა უკანასკნელი მდიდარია და ძალიან დიდი ღირებულების მხარეს წარმოადგენს, დაიხიონ ურალის იქით და მაინც ითვლებოდენ უდიდეს, უმდიდრეს და დიდი შესაძლებლობის ქვეყნის პატრონათ მთელ მსოფლიოში... მარტოდ მარტო ციმბირს, კარგად მოვლილს, შეუძლია აჯობოს აზიის თუ ევროპის ყველა სხვა ქვეყნებს და მეტოქეობა გაუწიოს შეერთებულ შტატებს *).

ამას ხომ უნდა დავუმატოთ საბჭოთა კავში-

---

*) **Iohn Littlepage: ,,A la recherche de mines d'Or de Siberie (1928-1937''), trad. française p.p. 134-135.** ამ წიგნს ინგლისურ ენაზე გამოსულს და შემდეგ ფრანგულათ ნათარგმნს მეორე დიდი ომის დასაწყისში დიდის ინტერესით შეხვდენ ყოველგან.

---

აგრესორის საწინააღმდეგო თავდაცვისათვის მზადება შეანელონ და შეაფერხონ. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ვინმე იფიქრებს, რომ კრემლის სანოვნიკების მიერ კომუნიზმის და კაპიტალიზმის მშვიდობიან თანაარსებობაზე ლაპარაკი ნიშნავს მათგან რაიმეს დათმობას, ან და იმპერიალისტური და ექსპანსიურ პოლიტიკაზე ხელის აღებას.

წინაამდეგ, საბჭოთა რუსეთში, რკინის ფარდის უკან, ამ უზარმაზარ ქვეყანაში უდიდესი ყურადღება დღეს სამხედრო მიზნებისათვის მუშაობას ექცევა. საბჭოთა მთელი მატერიალური რესურსები და შესაძლებლობანი ამას ხმარდება. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაყავთ ყოველგან სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, არხებით აერთებენ მდინარეებს და ზღვებს, თხრიან და ქმნიან ხელოვნურ ტბებს. და მთელ ამ მუშაობაში ჩაბმული ყავთ ასი ათასობით, ზოგიერთა ცნობით და გამოანგარიშებით კი მილიონობით, ციხეებიდან, თუ საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოყვანილი ტუსაღები, რომელთა უფასო შრომით და ფიზიკური განადგურებით მზადდება მომავალი დიდი მსოფლიო ომი.

ბოლშევიკები ძალის, ძლიერების და ორგანიზაციის კულტით არიან შებყრობილი. მათთვის ძალა ქმნის ფაქტს და უფლებასაც. ისინი მხოლოდ ძალას უწევენ ანგარიშს. მათი ცდაა მათი შეიარაღება და სამხედრო ძალა სხვებთან შედარებით ყველაზე უძლიერესი იყოს.

ბოლშევიკები დარწმუნებულნი არიან, რომ დემოკრატია მათ პირველად თავს არ დაესხმება და ომს არ დაიწყებს. ამ მხრივ კრემლი მშვიდობს და ომის დაწყების ინიციატივასაც თავისთვის იტოვებს. დღეს კი ფრთხილობს, სანამ ჯერ კიდევ ყოველმხრივ ომისათვის მომზადებულად თავს არ სთვლის, არ სურს არა ხელსაყრელ პირობებში იქნას ომში ჩათრეული და მიწაზე დანარცხებული. მაგრამ ერთი ჩვენთვისაც სრულიად ცხადია: კომუნიზმის და კაპიტალიზმის, დიქტატურის და დემოკრატიის დიდი ხნით თანაარსებობა შეუძლებელია; ხოლო იარაღით გადაწყდება, თუ იარაღის გარეშე კაცობრიობის ბედი, ეს ბოლშევიკებისგან არის დამოკიდებული. — საბოლოოთ ან ერთი უნდა დარჩეს, ან მეორე.

**კ. გვარჯალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სხვა ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეებიც — კავკასიის, უკრაინის, შუა-აზიის და თვითონ რუსეთის. ყველა ამ ქვეყნების სიმდიდრე — განსაკუთრებით როცა იგი მოქცეულია ერთ განმკარგულებელი მმართველობის ხელში და უმთავრესად ერთ მიზნისთვის არის დანიშნული — დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც შინ, ისე უცხოეთში. ამის ცოდნა ჩვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

როგორ არ უნდა აღინიშნოს, მაგალითად, რომ ფოლადის დამზადებაში საბჭოთა კავშირმა წინ გაუსწრო დიდ-ბრიტანეთს და პირველი ადგილი დაიჭირა ევროპაში და მეორე ადგილი მთელ მსოფლიოში (ამერ. შეერთებული შტატების შემდეგ). სახელდობრ, 1951 წელს ფოლადის წარმოება უდრიდა **ათას ტონობით**; შეერთებულ შტატებში — 93.870; საბჭოთა კავშირში — 30.800; დიდ-ბრიტანეთში — 15.640; გერმანიაში — 13.290; საფრანგეთში — 9.680; ბელგიაში — 4.920 (ვსარგებლობ 1952 წლის 30 მარტის „ლე მონდ“-ში გამოქვეყნებული ცნობებით).

ფოლადი თანამედროვე ომისათვის უდიდეს მნიშვნელობის საგანია; ხოლო სხვა დარგებშიც საბჭოთა კავშირის წარმოებას დიდი ზრდა დაეტყო. გარეშე ქვეყნებს ახლა უმთავრესად ეს აინტერესებს: საბჭოთა მრეწველობის ზრდა სამხედრო საჭიროების თვალსაზრისით. მისი ძალღონე უცხოელების მიერ ახლა უმთავრესად ამ განსაზღვრულ დანიშნულებით იზომება და ისინი იძულებულიც გახდნენ ამ მხრივ საბჭოთა კავშირს დიდი ანგარიში გაუწიონ.

მაგრამ მარტო ომის სამზადისით ხომ ვერ იცხოვრებს საზოგადოება. მას აქვს მრავალი სხვა საჭიროება და ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში მოსჩანს **მეორე მხარე** საბჭოთა კავშირის მეურნეობის. ეს „მეორე მხარე“ იმის მაჩვენებელია, რომ თუმცა საბჭოთა კავშირის წარმოებამ იმატა, მაგრამ ქვეყნის მოთხოვნილებას იგი მაინც ვერ სწვდება.

ჯერ იგივე ფოლადი რომ ავიღოთ, სახელმწიფოს სჭირდება იგი არა მარტო სამხედრო სამზადისისათვის, არამედ მრავალი სხვა შინაური საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: რკინის გზებისთვის, სავაჭრო გემებისთვის, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო მანქანებისთვის, სხვა და სხვა სამუშაო იარაღისთვის და აღმშენებლობისთვის. როცა ამ უკანასკნელი თვალსაზრისით შევუდგებით საკითხს — და სწორედ ამას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა მოსახლეობის კეთილდღეობისთვის და არა ომში გასანადგურებლად დამზადებულ ნაწარმოებს — ჩვენ დავინახავთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის დიდ სისუსტეს ევროპის და ამერიკის სახალხო მეურნეობასთან შედარებით. საბჭოთა კავშირის დიდი ციფრები ვეღარ ახდენენ შთაბეჭდილებას, როცა იმას ამ ქვეყნის საჭიროებას დავუპირდაპირებთ, მისი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო შემოსავალი (**ნაციონალური** შემოსავალი) სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას იმდენად, რამდენად იგი კმაყოფილდება ევროპის ქვეყნებში. ასე, ერთა კავშირის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად (და ეს ცნობები ემყარება თვით შესაფერ ქვეყნების მიერ ნაჩვენებ ოფიციალურ მასალას), ნაციონალური შემოსავალი შეადგენდა 1949 წელს **მილიარდ დოლარებში**: შეერთებულ შტატების — 216,8; საბჭოთა კავშირის — 59,5; დიდ-ბრიტანეთის — 38,9; საფრანგეთის — 19,8 (ვსარგებლობ „ლე მონდ“-ში 1950 წ. 17 დეკ. მოყვანილი ცნობებით).

რა თქმა უნდა, შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ნაციონალური შემოსავლის საერთო ჯამით საბჭოთა კავშირს მეორე ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში; მაგრამ აიღეთ ეს შემოსავალი მოსახლეობის მიხედვით და დაინახავთ, რომ იგი მოსახლეობის ერთ სულზე უწევს:

| | | |
|---|---|---|
| შეერთებულ შტატებში | — 1.453 | დოლარს |
| დიდ-ბრიტანეთში | — 1.181 | „ |
| საფრანგეთში | — 477 | „ |
| საბჭოთა კავშირში | — 298 | „ |

აქედან ცხადია, რომ საბჭოთა კავშირს, რომლის საერთო შემოსავალი მოსახლეობის მიხედვით ნაკლებია **ხუთჯერ** შეერთ. შტატების, **ოთხჯერ** დიდ-ბრიტანეთის და **ორჯერ** საფრანგეთის შემოსავალზე, არ შეუძლია იმდენი დახარჯოს მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, რამდენსაც ეს ქვეყნები ხარჯავენ. ადვილი გასაგებია ის სიღარიბე, რომელშიაც ცხოვრობს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა.

* * *

საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს სახალხო მეურნეობის აგებას უაღრეს ცენტრალიზაციის პრინციპზე. ამ გასაჭირის გასანელებლად, იქ რომ აქვს ადგილი, საჭი-

რგა შემოსავლის უმთავრესი წყაროების ისე, როგორც მთავარი ხარჯების, გაერთიანება მთელი კავშირის მაშტაბით. უფრო ღარიბი რესპუბლიკები ამით ვითომ იგებენ, უფრო მდიდრები კი უსათუოდ ზარალობენ. საქართველოც ამ რკალში არის ახლა მოქცეული. ამიტომ გამოქვეყნებული ცნობები სახალხო მეურნეობის ზრდის შესახებ საქართველოში არსებითად ჩვენ ბევრს არაფერს გვეუბნება. საქმე ისაა, თუ რა რჩება საქართველოს მოსახლეობას წარმოების „ზრდიდან" თავის ქვეყანაში? რადგან ფაქტიური ანგარიშები ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება და არც ის ვიცით, ამ ანგარიშებს ისინი საზოგადოთ აქვეყნებენ, თუ არა, — ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ მდგომარეობაში გასარკვევათ ორი ფორმალური მომენტით ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ორი გარეგანი ნიშნით.

**პირველი.** საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიხედვით (მუხ. 14), კავშირის უფლებაში შედის ეკონომიურ სფეროში: მთელი საგარეო ვაჭრობა; შედგენა სახალხო-სამეურნეო გეგმის მთელ საბჭოთა კავშირისათვის; დამტკიცება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის და შემოსავლის და გადასახადების მოკავშირე რესპუბლიკებისთვის; გამგებლობა საკავშირო მნიშვნელობის ბანკების, სამრეწველო, სასოფლო სამეურნეო და სავაჭრო დაწესებულებების და წარმოების; გამგებლობა ტრანსპორტის და კავშირის; ფულის, კრედიტის და დაზღვევის საქმე; წესების შემოღება მიწის საერთოდ, ტყის, წყლის და მიწის გულის სარგებლობისთვის და სხვ. ამნაირად, ცენტრალური მთავრობის განკარგულებაშია ჩვენში: მარგანეცის, ქვა-ნახშირის და თეთრი ნახშირის (წყლის ძალა) წარმოება; უმთავრესი ქარხნები (ჩაის, ავტომობილების ფერო-მანგანეზის და სხვ.); რკინის გზები და მათი სახელოსნოები, ფოსტა და ტელეგრაფი; საგარეო ვაჭრობა მთლიანად და შინაური ვაჭრობა ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმით; ბანკების და კრედიტის საქმე დასხვ. რა რჩება, სახალხო მეურნეობის რომელი დარგი რჩება საქართველოს რესპუბლიკას (ისე, როგორც სხვა რესპუბლიკებს) და ადგილობრივ მმართველობის ინიციატივის და განკარგულების ხელში? — თითქმის არაფერი.

ამიტომ ასე დგას საკითხი: ეწყობა ჩვენში ახალი წარმოება და ფართოვდება ძველი, **ადგილობრივ რესურსების გასაძლიერებლათ,** თუ იმისთვის, რომ ადგილობრივი პირობები გამოყენებული იქმნეს **ცენტრის (საკავშირო) საჭიროებისათვის?**

**მეორე.** ერთი გარემოება მოსჩანს ნათლათ საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკიდან: მოკავშირე რესპუბლიკები, დამოკიდებულნი ცენტრზე, ერთი მეორიდანაც დამოკიდებულნი ხდებიან, **ხელოვნურათ,** ცენტრის მიერ დეტალურათ შემუშავებული საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმის გამო. თავისუფალი ურთიერთობა, ერთი-მეორის ინტერესების თავისუფლათ შეთანხმების ნიადაგზე აღმოცენებული, ადგილობრივი ხალხის ინიციატივა აქ არ არსებობს. ამიტომ ეროვნულ რესპუბლიკების დიდი და მთავარი წარმოებანი ყოველგან უმთავრესად — სავსებით თუ არა — რუსეთის აწინდელ და მომავალ გეგმებს ემსახურება, სახელდობ: დარჩეს ეროვნულ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა **სამუდამოთ გადაბმული** მთელი რუსეთის სახალხო მეურნეობაზე. საბჭოთა ხელისუფლებას ეს ესაჭიროება **ახლა** ტოტალიტარულ რეჟიმის დასაცავათ, ესე იგი: თავის მოთხოვნილებათა საკუთარი საშვალებებით დასაკმაყოფილებლათ და საბჭოთა კავშირის განდეგილათ, კარჩაკეტილში ცხოვრების გასაგრძელებლათ; მას ეშინია, რათა ნივთიერი სააღებ-მიცემო და ტექნიკური ურთიერთობას თავისუფალ ქვეყნებთან, თან არ მოყვეს ხალხის იდეიური ურთიერთობაც ამ ქვეყნებთან.

რამდენათ არსებული რეჟიმი გაგრძელდება საბჭოთა კავშირში, იმდენათ ეკონომიური ცენტრალიზაცია იქ უფრო და უფრო ფესვებს გაიმაგრებს ადგილობრივი რესპუბლიკების ხარჯზე და ამ უკანასკნელთ უფრო და უფრო დაიმორჩილებს. ეროვნული რესპუბლიკები თანდათან დაკარგავენ საკუთარ ეკონომიური ცხოვრების ბაზას, შემოქმედების უნარს და ჩვეულებას თავის საკუთარ ეკონომიური პოლიტიკის წარმოებისთვის. ევროპის პატარა ქვეყნები — შვეცია და ნორვეგია, დანია და ჰოლანდია, ბელგია და შვეიცარია, დღეს რომ იდეალურათ არიან მოწყობილი — თავის დღეში ისეთ მკვიდრ საფუძველს ვერ ჩაუყრიდენ თავის სახალხო მეურნეობას, როგორიც ახლა აქვთ, მიწებებული რომ ყოფილიყვენ ინგლისზე, საფრანგეთზე ან გერმანიაზე, როგორც მათი დამატება ან უბრალო ნაწილი.

***

**დასკვნა.** საბჭოთა კავშირი, მთლიანათ მიღებული, უხვათ არის დაჯილდოებული ბუნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაივე სიმდიდრეებით. მაგრამ იმის შემოსავალი, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, იმდენათ მცირეა, რომ ის სამყოფი არაა და ამიტომ იგი განუსაზღვრელათ იყენებს მოკავშირე რესპუბლიკების ისე როგორც სხვა, მის გავლენის ქვეშ მოქცეულ ქვეყნების, ეკონომიური შესაძლებლობას. ამნაირად, იმ ეკონომიური შედეგს, რომელსაც იგი ვერ აღწევს თავის უკუღმართი პოლიტიკის გამო, მას სურს მიაღწიოს **რიცხვით** და **სივრცით.** ეს მეთოდი, ეს პოლიტიკა „რიცხვის“ და „სივრცის“ ძველის-ძველი რუსული პოლიტიკაა... საბჭოთა კავშირის ინდუსტრიაში უკანასკნელ ომის წინ, მათივე ცნობით, 27 მილიონი კაცი მუშაობდა (1937 წ.) და ნათესების სივრცეს 137 მილიონ ჰეკტარს ანგარიშობდენ (1938 წ.); ახლა მათი რაოდენობა მომატებულიც იქნება. მაგრამ ნაყოფიერება და შემოსავლიანობა, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის ძალიან ჩამორჩება ევროპის და ამერიკის ქვეყნებისას და ამიტომ მოსახლეობის უმარტივესი მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩება. იმის მაგიერ, რომ უშველოს ამას, რომ ხელი შეუწყოს ნაყოფიერებისთვის საჭირო შრომის პირობების შექმნას, საბჭოთა კავშირს — 22 მილიონ კვად. კილომეტრზე გაშლილს — კიდევ სხვების ტერიტორიაზე უჭირავს თვალი!

სრული გაუგებრობის შედეგია, თუ არა მეტი, როცა რუსეთის ყოფილ იმპერიის „მთლიანობისა და განუყოფელობის“ შესანახავათ მომავალშიც, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ახლანდელ პოლიტიკას და საერთოდ მსოფლიოში ეკონომიური განვითარების ინტერესებს და ტენდენციებს ასახელებენ. ევროპის ქვეყნებმა თავისუფლად, და არა ერთი-მეორისაგან იძულებით, განავითარეს თავისი სახალხო მეურნეობა, თავის ეროვნულ მოთხოვნილებათა და ადგილობრივ შესაძლებლობათა საფუძველზე; ყველა ქვეყნის მეურნეობას აქ ახასიათებს როგორც საერთო გზა, ისე ინდივიდუალური თვისებები და მათ საქმიანობას ფარგლავს **უმთავრესად** საკუთარი მწარმოებელი ძალთა შესაძლებლობა. ერთი მეორესთან კავშირით მათ სურთ გაძლიერება **საკუთარ** ეროვნულ წარმოების ბაზის და შემოსავლიანობის, და არა ვისიმე სამსახურში ჩაყენება იმის. თავისუფალ კავშირის ეკონომიურ თანამშრომლობისთვის უნდა მოყვეს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური დაახლოვებაც, ერთი-მეორის წინააღმდეგ წარმოებულ კონკურენციის, ქიშპობის და ბრძოლის მაგიერ, რაც ვნებს არა მხოლოდ პატარებს, არამედ დიდ ქვეყნებსაც. ასეთია, მაგალითად, დედა-აზრი ეგრედ წოდებულ „შუმანის პლანის“ ქვა-ნახშირ-ფოლადის წარმოების გაერთიანების შესახებ ევროპაში.

საბჭოთა კავშირმა კი ისე, როგორც სამეფო რუსეთმა, გააერთიანა მრავალი ერი **ძალდატანებით.** თავის ტოტალიტარულ რეჟიმის გასაგრძელებლათ მას სჭირია ახლა დამორჩილებულ ერების ეკონომიური შესაძლებლობათა გათქვეფა ერთი-მეორეში და თითეულის იმათგან უზარმაზარ რუსეთის ცენტრალურ აპარატის, უბრალო, დამოუკიდებლათ გამოუსადეგარ, ფორფიტათ გადაქცევა. ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, იმის ეკონომიური წარმატებისთვის და პოლიტიკურ თავისუფლებისთვის, ასეთი წესები მავნებელია.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს — და დაბრმავება იქნებოდა ამის ფიქრი — რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა ამოირიცხოს თავისუფალ საქართველოს ეკონომიურ პოლიტიკიდან. პირიქით, ჩრდილოეთის ამ დიდ ქვეყანაში მრავალი ნაწარმოები საქართველოსი იპოვის საუკეთესო და უდიდეს ბაზარს. ხოლო ამავე დროს საქართველო, თავისუფალი, არ მოსწყდება ეკონომიურათ დასავლეთის ქვეყნებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, ხელოვნურათ, სამეფო რუსეთის დროს და აქვს ადგილი დღეს საბჭოთა კავშირის პირობებში: ევროპის ტექნიკა და საზოგადოთ იმის ეკონომიური კულტურა და იმის ფინანსიური და სალებ-მიცემო ბაზრები აუცილებელია საქართველოს ეკონომიური განვითარებისთვის ისე, როგორც საჭირო იქნება თვით რუსეთისთვისაც,- როცა ეს უკანასკნელი თავისუფალი, და არა დაპყრობილი, ხალხებთან თავისუფალ ურთიერთობის ნიადაგზე დადგება.

ძველებური გზით სიარული ვნებს, როგორც დამორჩილებულ ერებს, ისე თვითონ რუსის ხალხს. ამ უკანასკნელის მიერ თავის, საკუთარი რუსეთის, ეკონომიური საშვალებათა ჯეროვნათ გამოყენება სრულიად საკმარისი იქნებოდა რუსის ხალხის დიდი კეთილდღეობისთვის და უფრო ადვილათ მოსავლელი, ვინემ დღემდის არსებულ პირობებში. ეკონომიური კულტურა იქ გაღრმავდებოდა. ამის მაგიერ კი, მუდამ „სივრცის“ ძებნამ — საუკუნეთა განმავლობაში და მეფეების დროს ისე, როგორც მათი შემცვლელ ხელისუფლების მიერ — მოშალა რუსეთში სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლოს ნატვრა

ძლევნით ჩემს ძვირფას თანამემამულეებს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით და მისი უსაზღვრო ნატვრით გულდაკოდი-ლით.

სამშობლოს განცდა რთული ფსიქიური მოვ-ლენაა; ამ სახელწოდების ქვეშ ხშირათ ერთმანე-თისგან განსხვავებული ფსიქიური ფენომენები იმალება: და მართლაც, სულ სხვაა სამშობლოს განცდა სამშობლოში მყოფ ადამიანის, რომელიც თვის ქვეყანას არ გასცილებია და იგივე განცდა სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანის ცნობიერე-ბაში.

სამშობლოს განცდა უკვე დამწიფებულ ადა-მიანის და იგივე განცდა მცირეწლოვან ბავშვის;

სამშობლოს განცდა იმ ადამიანის, რომელიც სამშობლოს უაღრეს ღირებულებათ სთვლის და მის კულტს ემსახურება, და სამშობლოს განცდა იმის, ვისაც სამშობლო წარსულის მიერ დატოვე-ბულ, ჯერ კიდევ არ გამქრალ ცრუ ცნებათ მიაჩნია.

მაგრამ არსებობს ერთგვარი საერთო ფონი, რომელიც ყველა ამ მრავალგვარ განცდებს ანა-თესავებს, მათ საერთო ძირებს უქმნის და მათ-თვის ერთ, საერთო სახელის დარქმევას შესაძლე-ბლიათ ხდის: ყველა ეს განცდები სამშობლოში მიღებულ შთაბეჭდილებებს ეყრდნობიან და ერთ და იმავე ქვეყანას, სამშობლოს, მიეკუთვნებიან.

დღეს ჩვენ არ ვაპირებთ სამშობლოს განცდის მთელი თავისი მრავალფეროვანებით გაშლას.

ჩვენ განზრახ ვავიწროებთ ჩვენი მსჯელობის წრეს და **მხოლოთ სამშობლოს დაშორებულ პირ-თა განცდების განხილვას შევუდგებით;**

ჩვენი მიზანი, ამ შემთხვევაში, წმინდა ფსიქო-ლოგიური იქნება და არა პოლიტიკური:

უამრავია პოლიტიკური ლიტერატურა სამშო-ბლოს შესახებ, მაგრამ თითქმის არაფერია ისე-თი, რაც იხილავს სამშობლოს განცდას ფსიქო-ლოგიური თვალსაზრისით;

ამიტომ გადავწყვიტეთ, დამოუკიდებლათ მი-გვემართა ფსიქოლოგიაში მიღებულ დაკითხვის მეთოდისადმი, რომელმაც უმაღლესი ფსიქიუ-რი ფუნქციების შესწავლას დიდი სარგებლობა მოუტანა. შევადგინეთ საანკეტო ფურცელი 22 კითხვით; თვითეულ ოქმს ჩაწერის შემდეგ ვუ-კითხავდით ცდის პირს ჩაწერილის შესამოწ-მებლათ;

ზოგი საკითხების გამოსარკვევათ მივმართეთ დამატებითი ცდებს, რომლის აღწერას ქვევით ვიხილავთ;

ჩვენი ცდის პირები იყვენ: ბ.ბ. იორდანე მაი-სურაძე, დანიელ აფრიაშვილი, გაბო ბერძნიშვა-შვილი (ყველა გლეხებია), ზებულია კუპრაძე, დათიკო მუჯირი, სტეფანე კასრაძე, სოსო გვა-რამაძე, ნიკო ურუშაძე, თვით ჩვენ და კიდევ სამი პირი (ინტელიგენტები).

ოქმების დამუშავების და მათი ინტერპრეტა-ციის შემდეგ ასეთი სურათი მივიღეთ:

სამშობლოს ნატვრა უცებ არ წარმოიშვის, უცხოეთში ახლათ ჩამოსულს მრავალი, ახალი შთაბეჭდილებანი იპყრობენ; მას პირველ ხანებ-ში არ სცალია სამშობლოზე ფიქრი;

„პირველ ხანებში (უცხოეთში ჩამოსვლისას) ეს გრძნობა არ მქონდა; აქაურმა აქტუალურმა ცხოვრებამ ისე გამიტაცა, რომ სამშობლოზე არ ვფიქრობდი; ეს გრძნობა შედარებით გვიან წარმოიშვა“. ,ცდის პირი №8).

სამშობლოს ნატვრის აღნიშვნის დაგვიანება იმასაც მიეწერება, რომ თვითეული გრძნობის ფერმენტაცია სადღაც ქვეცნობიერების და არა ცნობიერების სფეროში, სრულიათ შეუმჩნევ-ლათ სწარმოებს; მისი ვითარება ჩვენს თვალთა-გან სრულიათ დამალულია იმ დრომდე, ვიდ-რე მისი ევოლიუცია არ დასრულებულა;

მას ჩვენ მხოლოთ მაშინ ვგრძნობთ, როცა იგი უკვე სრულიათ დამთავრებული და ჩამოყა-ლიბებული უცებ იფეთქებს და ცნობიერებას დაეუფლება:

რათ ხდება ამ გრძნობის ევოლიუცია ასე ფა-რულათ?

---

ტკიცე საკუთარ სამეურნეო საძირკველის და დაუკარგა მის ხალხს უნარი ნაყოფიერათ საქმია-ნობის და ეკონომიურათ განვითარების. ამ მავნე ფერხულში მან ჩააბა დამორჩილებული ერებიც. და თუ ესენი ახლა ამ ულლიდან განთავისუფ-ლებისთვის იღწვიან, ნაცად გზებს გმობენ, ეს არავის აღარ უნდა აკვირვებდეს.

ქ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრება მხოლოთ დიდ, ღირსშესანიშნავ მოვლენებისაგან კი არ შესდგება, არამედ უამრავ, წვრილმან ფაქტებისაგანაც;

„ერთის მხრივ, ყოველდღიური გამოცდილება აღძრავს ჩვენში სუსტ, ეფემერულ შთაბეჭდილებებს... ეს ჩვენი გამოცდილების უმნიშვნელო ფაქტებია, რომლებიც ჩვენს ორგანიულ მეხსიერებაში აღიბეჭდებიან და იქვე სამუდამოთ იკარგებიან, როგორც მრავალი სხვა მოგონებები... გაგონილი და ნახულ საგნებისა. მართალია, ისინი **ცნობიერების ველს ვერ აღწევენ,** და მათთან დაკავშირებული მიზიდულებანი და ავერზიები (არიდება) ცნობიერი ვერ ხდებიან, მაგრამ ისინი მაინც ინახებიან ქვეცნობიერებაში, გამეორების შემწეობით კავშირდებიან და აქედან ცნობიერებაზე გავლენას ახდენენ“ *)

მეორე მხრივ, არსებობენ მრავალი ისეთი სუსტი განცდები, რომელთა გრძნობითი ტონები იმდენათ სუსტი არიან, რომ ადამიანი ვერ ამჩნევს მათ.

„თუ ეს დაუსრულებლათ მცირე გრძნობები ხშირათ მეორდებიან, ხდება მათი დაგროვება; აქედან წარმოიშვის გარკვეული გაბატონებული გრძნობითი ტონალობა, რომელიც მით უფრო დღეგრძელი და ინტიმურია, რაც უფრო არა ცნობიერათ სწარმოებდა მისი ზრდა“ **).

სწორეთ ამიტომ ყოველი გრძნობის შესწავლა და მისი წარმომშობი ფაქტორების გამორკვევა მეტათ გაძნელებულია;

მიუხედავათ ამ სიძნელისა ჩვენ ერთი რამის მტკიცება თავისუფლათ შეგვიძლია: სამშობლოს მონატრების წარმოშობა ორგვარ მოვლენათა რიგს უკავშირდება: ფსიქო-სოციალურს და წმინდა ფსიქიურს.

დავიწყოთ პირველით:

ადამიანი საზოგადოებრივი ქმნილებაა... იგი მჭიდროთაა დაკავშირებული იმ საზოგადოებასთან, სადაც იგი იბადება და მოღვაწეობს.

ხანგრძლივ ერთ და იმავე საზოგადოებრივ გარემოში ცხოვრება, ხანგრძლივ ერთ და იმავე საზოგადოებრივ დაწესებულებებთან კონტაქტში ყოფნა, ადამიანს მრავალ, მყარ ჩვეულებებს და სულიერ განწყობილებას უქმნის.

ამავე დროს, ადამიანს ამ საზოგადოებაში გარკვეული ადგილი უჭირავს; მას აქ განსაზღვრული ღირებულება და მნიშვნელობა აქვს.

უცხოეთში გადატყორცნილი, მშობელ კერას მოწყვეტილი ადამიანი ამჩნევს, რომ იგი ამ უცხო საზოგადოებისთვის მეტხორცია; რომ იგი ამ საზოგადოების ფუნქციისათვის საჭირო არ არის; რომ მას აქ არაფერი ევალება და არც არაფერი მიეზღვება.

თუ მას პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ, მხოლოთ იმისთვის, რომ მას საკუთარ ქვეყანაში უმოღვაწია.

„საქართველოში, ამბობს ცდის პირი № 8, — მე თავმჯდომარე ვიყავი; რაღაცას ვაკეთებდი და ამდენიათ ჩემს ცხოვრებას ღირებულება ჰქონდა; აქ კი რაღა ვარ, ან რის მაქნისი ვარ? წყლიდან ამოგდებულ თევზს ვგევარ: სუნთქვა არ მყოფნის“.

სამშობლოს დაშორებული მთლიანათ ვერ ეგუება უცხო საზოგადოების სტრუქტურას და მის კოლექტივურ ცნობიერებას.

ის, რაც მისთვის წმინდათა წმინდაა, აქ უპატივცემულოა, ის, რაც მას ცეცხლს უკიდებს და ენტუზიაზმით ავსებს, უცხოელის გულს სრულიათ არა ან მეტათ სუსტათ ხვდება;

„მეკითხებოდნენ მე, ამბობს გადახვეწილი ლამენე, რათ სტირით თქვენ? და, როს მე ვამცნე, თუ რათ, არავინ აცრემლდა, ვინაიდან ვერვინ გამიგო მე“.

იგი ვერ ეგუება და უცხოობს არა მარტო ისეთ მნიშვნელოვან რამეებს, როგორც ზნე-ჩვეულებანი, ცხოვრების საერთო წესები, არამედ ისეთ წვრილმან რამეებსაც, როგორც საჭმელი, დროის განაწილება და სხვა.

პირველი კონფლიქტი ადამიანისა და უცხოეთის შორის აქ იბადება; ეს კონფლიქტი სწრაფათ იზრდება და მით უფრო ადვილათ ღრმავდება, რომ მას ფსიქიური მექანიზმის მოქმედებიდან გამომდინარე კონფლიქტებიც ერთვიან:

ჩვენ ვიცით, რომ „ადამიანი, როგორც აფექტიური არსი, წარმოადგენს კონას იმ მიზიდულებათა, მისწრაფებათა, სურვილთა და ავერზიებისას, რომლებიც მის ორგანიულ და ცნობიერ ცხოვრებასთან არიან დაკავშირებულნი და რომლებიც მისი ინდივიდუალობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ“ *).

ეს აფექტიური კომპლექსი, რომელიც ადამიანის პიროვნების გამომხატველია თავისი არსით,

---

*) Ribot. Essais sur les passions. Paris 1907 p. 19.

**) Hoffding. Esquisse d'une psychologie. 1903. p. 104.

*) Ribot. იგივე შრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო წარსულს ეკუთვნის; იგი წარსული სულიერი ცხოვრების მიერ დატოვებული კვალია; იგი უმთავრესათ წარსულში მიღებულ განცდების მიერ შექმნილი სულიერი განწყობილებაა.

განსაზღვრულ პირობებში ცხოვრების და მოქმედების ზეგავლენით ჩვენი ფსიქიკა ივსება გარკვეული სახის შინაარსით: განსაზღვრული ფერებით, ხმებით და სახეებით; ამავე დროს ჩვენი ფსიქიკის გარკვეული შინაარსით ავსება გარკვეულ აზრებს, ტენდენციებს, მიდრეკილებებს, ძლიერ ნებითი იმპულსებს და ყველა ამათთან დაკავშირებულ გრძნობათა ელემენტებს ჰქმნის.

ამ კომპლექსის და მისი აფექტური ბუნების აქტივობას ჩვენ ფსიქიკის ყოველ მოქმედებაში ვხედავთ: აღქმაც (perception, восприятие), რომელიც უპირველესათ ობიექტური უნდა იყოს, მის გავლენას განიცდის.

„აღქმა (ათვისება), ამბობს ბერგსონი, მუდამ მოგონების ფონზე იშლება. შეგრძნებითი ორგანოების უშუალო მოცემულობას ჩვენი წარსული გამოცდილება მრავალ დეტალებით ამდიდრებს“.

ეს დეტალები ნაწილობრივ ხატოვანი არიან, ნაწილობრივ კი აფექტური.

ამ მხრივ მართლაც შეიძლება ითქვას: „ჩვენი წარსული აწმყოში იხედებაო“.

ამას მიეწერება ის, რომ თვითეულის ფსიქიკა გარედან მიღებულ შთაბეჭდილებებს განსაკუთრებული ფერებით ჰღებავს და მათ თავისებურათ განაწყობს, რომ ერთი და იგივე შთაბეჭდილება სხვა და სხვა პირთა ცნობიერებაში სხვა და სხვა აღქმებს წარმოშობენ; რომ აღქმის დროს ადამიანი ერთგვარ შერჩევას ახდენს და მოცემულ შთაბეჭდილებათა სიმრავლეში მხოლოთ ზოგს ჰხედავს და არა ყველას: ისეთებს, რომლებიც მის სურვილებს, მისწრაფებებს და თავისებურობას შეეხამებიან.

ადამიანის ფსიქიკის ეს „წინასწარი განწყობილება“ ზოგჯერ ისე არანორმალურათ ძლიერია, რომ იგი მოცემულ სინამდვილეს ამახინჯებს.

ამას ჩვენ თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ჩვენს ფსიქიკაში უამრავი ფსიქიური „მექანიზმები“, ასოციაციური კავშირები და მყარი ჩვეულებები თითქმის მუდამ სამოქმედოთ მზათ არიან და განუწყვეტლივ ცნობიერების ზღურბლათ არიან ატუზულნი, ცნობიერათ გახდომის ხელსაყრელ მომენტს სდარაჯობენ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენს ფსიქიკას ერთგვარი ინერცია ახასიათებს და იგი ახალში ძველის დანახვას ცდილობს.

საკმარისია ხშირათ მცირე რამ მსგავსება, რომ ჩვენი ფსიქიკის ერთი ნაწილი, როგორც წინასწარ მოწყობილი მექანიზმი, მოქმედებაში მოვიდეს, ცნობიერებაში გარკვეული განწყობილება შექმნას, მეხსიერების გარკვეული ზონები აამოქმედოს და, გარედან მიღებულ ობიექტურ შთაბეჭდილებებისათვის სუბიექტურ ელემენტების დართვით, აღქმის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინოს.

სწორეთ ეს „ფსიქიური ინერციაა“ იმ სულიერ კონფლიქტის მთავარი წარმომშობი, რომელიც სამშობლოს ნატვრას გზას უმზადებს.

ჩვენს ოქმებში ხშირათ შეხვდებით ასეთ გამოთქმებს: „ყოველგან და ყოველთვის მშობლიურს ვეძებ; ქუჩაში ხშირათ მეჩვენება თითქოს გამვლელმა ქართულათ დაილაპარაკაო“ ან „საკმარისია რამდენიმე სასიმღერო ხმა გავიგონო, რომ ცნობიერებამ იგი წამსვე გააგრძელოს და რომელიმე ქართული არიის სახით წარმოიდგინოს“.

ეს მოვლენა კიდევ უფრო გამოკვეთილათაა წარმოდგენილი ცდის პირი № 11-ის ოქმში.

„ერთ დროს სენის ნაპირას ვცხოვრობდი. ღამე ლოგინში ხშირათ მესმოდა ორლეანის სადგურის ორთქლმავლების სტვენა, რომელთა შორის ზოგის ხმა ძლიერ ჰგავდა ორთქლმავალ „კერილის“ ხმას. ყოველთვის, როცა ეს სტვენა მესმოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა უკვე ძილმორეული ვიყავი, ისეთი ილუზია მებადებოდა, თითქოს საქართველოს ერთ-ერთ ძველ ბინაზე ვიმყოფებოდი. ჩ ე მ ს წარმოდგენაში საგნები და ავეჯეულება იცვლიდენ ადგილს: ფანჯარა მარჯვნივ გადმოდიოდა და მის იქით ისახებოდა ბაქანი, ლიანდაგები, ორთქლმავლები, და სხვა სწორეთ ისე, როგორც ეს სადგურ ხაშურში ხშირათ აღმიქვამს. მე გონებით ვიცოდი, რომ ამ მომენტში პარიზში ვიყავი, რომ ფანჯარა ფეხებისკენ მქონდა და კარი კი — მარჯვნივ; მაგრამ ილუზია მაინც გრძელდებოდა. მისგან თავის დასაღწევათ თვალები უნდა გამეხილა და ჩემს გარშემო მიმეხედა-მომეხედა“.

ჩვენ ვსთქვით: მოგონებითი დანართები აღქმის ნორმალური და ჩვეულებრივი ელემენტებიაო. ისინი აღქმისთვის აუცილებელი და სასარგებლო არიან.

მაგრამ არა ყოველი მოგონებითი ელემენტები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთები მხოლოთ, რომლებიც აღქმისთვის მოცემული სინამდვილის შესაფერისნი არიან.

წინაამდეგ შემთხვევაში, ისინი აღქმას გამრუდებენ, გააყალბებენ და თავის დანიშნულებას დაუკარგავენ;

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გსურთ მოთხრობის წაკითხვა ან მუსიკის მოსმენა; ამ შემთხვევაში მთელი თქვენი ყურადღება ამ წასაკითხ და მოსასმენ საგნებს უნდა მიაპყროთ;

ყურადღების და ცნობიერების კონცენტრაცია იმასაც ჰგულისხმობს, რომ მთელი თქვენი ქვეცნობიერება ისე მოეწყოს, რომ მან ცნობიერებაში მოთხრობის და მუსიკის გაგებისა და წარმოდგენისათვის შესაფერი ხატოვანი სახეები და გრძნობები წარმოშვას.

მაგრამ ქვეცნობიერებამ თუ შესაფერი წარმოდგენების ნაცვლათ, აღსაქმელ ობიექტის რომელიმე დეტალის ზეგავლენით უცხო და შეუფერებელი წარმოდგენები მოგვცა, ცნობიერებაში გამოჩნდებიან პარაზიტული ხასიათის წარმოდგენები და გრძნობები, რომლებიც მოსმენას და გაგონებას დააბრკოლებენ; ამ შემთხვევაში ერთ, მთლიან, განუყოფელ აღქმის ნაცვლათ ორი სხვა და სხვა განცდა შეიქმნება; ამავე დროს ერთი, საერთო გრძნობითი ტონის ნაცვლათ ორი გაჩნდება: ერთი, მოგონებითი ელემენტების თანხმლები და მეორე აღსაქმელ ობიექტის დამახასიათებელი.

ამის გამო ყურადღება იფანტება: ერთი მომართულების ნაცვლათ, მას ხან მოგონებითი ელემენტები შეჰყავს ცნობიერების ნათელ ველში, ხან კი ობიექტური შთაბეჭდილება;

ასე რომ, თუ ნორმალურათ მოგონებითი ელემენტები გარეგანი სინამდვილის აღქმას ემსახურებიან, აქ ისინი ამ აღქმას აბრკოლებენ და ამახინჯებენ.

როდესაც საფრანგეთში ადამიანს ეჩვენება, რომ გამვლელნი ქართულათ ლაპარაკობენ, ან, როდესაც იგი გაგონილ მუსიკის უცხო ხმებს ქართულ არიებს ამსგავსებს, ან და, როდესაც ოროთქმავალის სტვენის მსგავსების ფონზე იგი საქართველოში განცდილ მთელ სურათს აშენებს, ადგილი აქვს აღქმის პროცესის გამრუდებას, სინამდვილის დამახინჯებას, ილუზორულ წარმოდგენას.

ყოველი ასეთი შეცდომა, თვითმოტყუება, ძლიერ უსიამოვნებას წარმოშობს.

აქ ადამიანი უკმაყოფილო ხდება, რადგანაც იგი ამჩნევს ამ პროცესის არანორმალობას, სწორი აღქმის დაბრკოლებას და, მაშასადამე, სინამდვილის საპასუხო რეაქციის გამრუდებას.

ამავე დროს ყოველი ასეთი პროცესი ერთგვარ იმედის გაცრუებასთანაა დაკავშირებული; იმედის გაცრუება კი მეტათ მტკივნეულია: აწეული ხასიათი და სიხარული ეცემა და უსიამოვნებას უთმობს ადგილს.

ეს უკანასკნელი მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო ღრმა წარმოდგენებს და სურვილებს უკავშირდებოდა გაცრუებულ მოლოდინის ობიექტი.

და რადგანაც სამშობლოში დამწიფებული და იქ აღზრდილ ადამიანის ფსიქიკაში მშობლიური მხარის მოგონებებს ღრმათ და ფართეთ აქვთ ფესვები გაშლილი, მათი სინამდვილეში ხილვის იმედის გაცრუება მართლაც ძლიერი ინტენსივობის უსიამოვნებას წარმოშობენ; მით უფრო ძლიერს, რაც უფრო შეუფერებელი არიან მოცემულ სინამდვილესთან ეს მოგონებითი ელემენტები.

აი როგორ აგვიწერს ამ მომენტს ცდის პირი №1:

„საკმარისია სულ რამოდენიმე ნაცნობი ხმა გავიგონო, რომ ცნობიერებაში იგი სწრაფათ გავაგრძელო და რომელიმე ქართული არიის სახით წარმოვიდგინო... გამეხარდება... ვცოცხლდები... მაგრამ წუთით: მუსიკის ხმები ცნობიერების მიერ გათვალისწინებულ გზას შორდებიან და ჩემთვის სრულიათ უცხო ჰანგებს იძლევიან... ხასიათი ფუჭდება... სული ეცემა და შემდეგის მოსმენის სურვილიც მეკარგება“.

ასეთია სამშობლოს ნატვრის ერთ-ერთი ფსიქიური ფაქტორი;

არიან სხვებიც:

ჩვენს ოქმებში ხშირათ შეხვდებით ასეთ გამოთქმებს: „ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება დამბადება, თითქოს ტყვეობაში ვიყო... ამ მდგომარეობის აღწერა არ შემიძლია... ასეთ მომენტში ვგრძნობ მხოლოთ, რომ მთელს ჩემს არსებას რაღაც თბილი გრძნობა ეუფლება... გრძნობა საქართველოში განცდილი და მშობლიური სურათების მუდმივი თანმხლები“ (ცდის პირი № 10).

„დრო გამოშვებით, ამბობს მეორე ცდის პირი, მოულოდნელათ როგორღაც ახირებული სულიერი მდგომარეობა მიპყრობს. იგი როგორღაც გაურკვეველია... მაგრამ მას ხშირათ მშობლიური სურათების გამოკვეთილნი და კრისტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიური მოგონებები მოჰყვებიან ხოლმე" (ცდის პირი № 1).

ამ მდგომარეობის წარმოშობა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის „თითქოს ვიღაცის უჩინარმა ხელმა მოულოდნელათ ჩვენს ცნობიერებაში განსაკუთრებული სულიერი მექანიზმი მოქმედებაში მოიყვანა"-ო.

ამ მოვლენას ფსიქოლოგიაში წმინდა ეფექტური მოგონებას უწოდებენ და მის საუკეთესო აღწერას ვებერი იძლევა; იგი გვიამბობს:

„ერთ დღეს ივლისში, როდესაც ქუჩაში მივდიოდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთ მაღაზიის წინ გამოფენილ ყვავილების კონამ, უცებ რაღაცამ მთელი ჩემი არსით გადამტყორცნა ბუნების მეტყველების გაკვეთილზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ლიცეიში 30 წ. წინეთ, სწორეთ ამავე სეზონში. ეს იყო სამოსწავლო წლის უკანასკნელი გაკვეთილი. მასწავლებელმა ამ დღის აღსანიშნავათ და გამომშვიდობების ნიშნათ ეს ყვავილი დაგვირიგა და გვითხრა: ეს ყვავილები ნაწილებათ დაშალეთ და მისი სტრუქტურა შეისწავლეთო. მსგავს ყვავილის დანახვას ხშირათ გაუხსენებია ჩემთვის ეს ეპიზოდი. მაგრამ ეს მოგონება მუდამ რაღაც აბსტრაქტული იყო... იმ დღეს კი 30 წლის ჩემი ცხოვრება თითქოს შეიკუმშა და უცებ თავი მოწაფეთ ვიგრძენი... თითქოს იმ წუთშიც კლასის დარბაზის ბოლო რიგში ვიდექ და ყვავილებით დატვირთულ მაგიდას ვუახლოვდებოდი... ამ წუთში მე განვიცდიდი ყველა იმ გრძნობებს, რომლებიც 30 წლის წინეთ სასწავლებელში მთელს ჩემს არსებას იპყრობდა: გრძნობას სიხარულისას, რომ სამოსწავლო წელი თავდებოდა და არდადეგები მოვიდა; წყენას, რომ უნდა დავშორებოდი მასწავლებელს, რომლის გაკვეთილები ნამდვილ გასართობათ მიმაჩნდა გრამატიკის მძიმე, არა სასიამოვნო გაკვეთილებთან შედარებით. თვით ეს დარბაზი, მასწავლებელი, მისი ნაზი სახე და მისი ჩვეული ჟესტები ნათლათ თვალ - წინ მიდგენ. მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ ყოველივე ამას ვუცქეროდი და აღვიქვამდი იმ დროინდელ „მე"-ს შემწეობით, რომელიც უკვე დიდი ხნიდანვე გამქრალი იყო და რომელიც დღეს, დღევანდელ ჩემს „მე"-ს გვერდით გაჩნდა *).

ასეთი განცდების დროს ადამიანი სრულს თავდავიწყებას ეძლევა; იგი მთელი თავისი არსით წარსულ მოგონებებს ექვემდებარება;

ადამიანის შთაგრძნობა ამ ძველ განცდებისადმი იმდენათ ძლიერია, რომ იგი თავის საკუთარ „მე"-ს ტყავიდან ძვრება და წარსულ —მე"-ს ნაჭუჭში თავსდება.

აქ ისპობა ჩვეულებრივი დაპირის-პირება ადამიანის „მე"-სა და მის მოგონებათა შორის.

აქ წარსული განცდები პიროვნების ცნობიერების წინ არ გაივლიან, როგორც რაღაც მის გარეთ მყოფი და მისგან განსხვავებული.

მისი „მე" ამ მომენტში იკარგება და მთლიანათ ამ განცდაში ითქვიფება; ამის წყალობით ადამიანის ცნობიერებაში იღვიძებენ განსაკუთრებული სიძლიერით და გამოკვეთილებით ყველა ის გრძნობები მისწრაფებანი და სახეები, რომლებიც მისი წარსული „მე"-ს დამახასიათებელი იყვენ. როდესაც ადამიანი ამ განცდას თავს აღწევს და ისევ სინამდვილეს უბრუნდება, პირველ წამებში იგი იბნევა და გარემო სინამდვილეს უცხოობს.

ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ისეთი კონტრასტული და არა ჩვეულებრივია, რომ მას სრული ადაპტაციისათვის (შეთვისებისათვის) განსაზღვრული დრო სჭირდება;

განა ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მოხდება ადამიანის ცნობიერებაში, როცა მსგავსი აფექტური მოგონება სამშობლოს შეეხება და მას საკუთარ ქვეყანას მოშორებული პიროვნება განიცდის?

განა საეჭვოა, რომ განსაკუთრებით ამის შემდეგ იგრძნობს იგი გარემო სინამდვილის უცხოობას და მშობელ ქვეყნიდან მოწყვეტას?

განა სალაპარაკოა, თუ რაოდენათ ძლიერი იქნება ის მწუხარება და ნაღველი, რომელიც ადამიანს მოიცავს.

აქ იგივე განცდაა, რაც უდაბნოში: მოწყურებულ, მოშივებულ და დაღლილ მგზავრს რომ თვალთაგან რეალობათ მიჩნეული მირაჟი დაეკარგება.

(გაგრძელება იქნება)

ა. შათირიშვილი

..................

## გაკვრით იქაურ ბედნიერებაზე

როცა თვალს გადავავლებთ უცხოეთის ანტიკომუნისტური პრესას, რადიო გადმოცემებს, ან იმ უამრავ გამოცემებს, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის ცხოვრებაზე და არის დასავლეთის განკარგულებაში — ძალა უნებურად აზრი გვებადება: რამდენი გულუბრყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაა დაგროვილი ყველა ამ გადმოცემებში! რამდენი დრო და ენერგიაა დახარჯული იმისთვის, რომ „აღმოაჩინონ“ — ვთქვათ, თბილისში უსწორ-მასწორო ქუჩები, ან ქართული „მარისელელი“ სიამაყე-ამპარტავნება, ან კიდევ ქართული ღვინის ხარისხი, რუსული „ბორში“, „ვოტკა“ თუ უკრაინული პური ან აზერბაიჯანის „კავიარი“, ან მოსკოვში რამოდენიმე ლამაზათ მორთული სურსათ-სანოვაგით სავსე მაღაზია და შიგ რამდენიმე მყიდველი. ან გადაავლეთ თვალი, თუ გნებავთ, ბუდუ სვანიძის ზრდილობიან და მორცხვ საყვედურებს სტალინისა და მისი დამქაშების მიმართ *); სწორედ იმ სვანიძის, რომელიც ახლო ნათესავია ქართველ ჯუღაშვილის და რომელიც წლეების განმავლობაში ტრიალებდა კრემლში ან სტალინთან სხვადა სხვა დაჩა-კურორტებზე, იყო იმავე სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი, და ბოლოს მაინც იძულებული გახდა ემიგრანტული ცხოვრება აერჩია. ამ კაცის მოგონება — ფელეტონებში უხვათ იპოვით ქათინაურებს ყოფილი პატრონების მიმართ. სამაგიეროდ თითქმის არც ერთი სიტყვა იმ მასიურ წმენდა-დაპატიმრებებზედ, რომლის მსხვერპლი გახდა მილიონობით საბჭოთა უდანაშაულო „მოქალაქენი“ და ათი-ათასობით ჩვენი თანამემამულეებიც. არც ერთი სიტყვა იმ მონურ შრომაზედ, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწევა კოლმეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებში თუ საბჭოთა მეურნეობებში, თითქმის უსასყიდლოთ, არც ერთი სიტყვა იმ ულიდეს და უამრავ გადასახადებზედ, რომლის საშვალებით უკანასკნელ გროშს ჯიბიდან აცლიან, არც ერთი სიტყვა იმ შიმშილობაზედ, რომლის მსხვერპლი გახდა ასიათასობით ქალი თუ ბავშვი, მოხუცი თუ შრომისუნარიანი, არც ერთი სიტყვა უმწეო სამკურნალო მდგომარეობის გამო, არც ერთი სიტყვა ყოველ-დღიურ შიშზედ, რომელიც არსებობს რკინის ჯებირს იქით, სადაც მოქალაქემ არ იცის, თუ დილით იმავე ლოგინზედ გაიღვიძებს, რომელზედაც წინა საღამოს დაწვა დასაძინებლათ.

მხოლოდ კრავჩენკომ შესძლო მოეცა საკმაოთ სწორი სურათი საბჭოთა სინამდვილის: — კოლექტივიზაციის პერიოდი და ენკავედის თარეში სოფლათ. წმენდა, დაჭერა, გადასახლება, წამება ჩეკას სარდაფში მილიონობით უდანაშაულო ხალხის, შიმშილობა; ომი და ისევ შიმშილობა; უპატრონო ბავშვები და სხვა, დამახასიათებელი სტალინური რეჟიმის.

* * *

ყველაზე მძიმე ტვირთად საბჭოთა ხალხს ისევ საკოლმეურნეო სისტემა აწევს. მაშასადამე, ყველაზედ დაჩაგრულია გლეხობა. გლეხი ძალად შერეკილი საკოლმეურნეო ყაზარმაში; ნორმობრივი შრომა რომელიც დამყარებულია სტახანოვურ სისტემაზე; უამრავი, ორმაგი გადასახადი, როგორც კოლმეურნე წევრის და ამავე დროს კერძო საკუთრების მქონეს. (საბოსტნე მიწა, რამდენიმე ქათამი, და, მაშასადამე, რამდენიმე კვერცხი, სახლი და ისევ რამდენიმე დამტვრეული სკამი); რამდენიმე ათეული პირი, რომელიც არ ეწევა ფიზიკურ შრომას და საკმაო განცხრომით ცხოვრობს კოლმეურნეთა ნაოფლარით, — აი სურათი სოფლის.

თუ ავიღებთ ერთ რომელიმე კოლმეურნეობას, რომელშიც გაერთიანებულია დაახლოვებით 250 ოჯახი, ხოლო თუ ოჯახზედ ვიანგარიშებთ საშვალოთ ორ მუშა ხელს — ასეთ კოლმეურნეობაზედ მოდის, მცირე განსხვავებით ერთი-მეორისაგან მათი სამეურნეო კულტურების მიხედვით, დაახლოვებით — ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ერთი მისი მოადგილე, ერთი ან ორი ბეღელის გამგე, ერთი უფროსი ბუღალტერი და სამი ან ოთხი მოანგარიშე. ერთი ან ორი საბავშვო ბაღის მასწავლებელი, ერთი ან ორი წერილების დამტარებელი, ორიდან ხუთამდე აგრონომი და აგრო-ტეხნიკოსი. (აგრონომთა რიცხვის მეტ-ნაკლებობა განისაზღვრება კოლმეურნეობის ხასიათით. ციტრუსების მეურნეობაში მათი რიცხვი მეტია, ვინემ სიმინდის კოლმეურნეობაში. უფროს აგრონომს სახელმწიფო ჯამაგირი აქვს, ხოლო ტეხნიკოსებს — შრომა დღეები); ერთიდან ათამდე ვეტ. — ექიმი და ფერშალი. (ციტრუსებისა და სიმინდის კოლმეურნეობებში მათი რიცხვი ერთიდან სამამდეა, ხოლო მესაქონლეობის საკოლმეურნეო ფერმებში ათი და მეტი); ყოველ 15 ოჯახზედ ერთი — ბრიგადის უფროსი, — სულ 16 ბრიგადირი. ათეულობით ბოსლის მუშები თავის უფროსებით, რომლის მოვალეობას შეადგენს საქონლის მოვლა და ბოსლის გასუფთავება — მეთვალყურეობა. უსაქმო და არაფრის მქნელი პარტიული კომიტეტის მდივანი

*) ჟურნალი ,,Realtés“ — აპრილი-მაისი 1952 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა უამრავი „მდივნები“„ რომლებიც არა ოფიციალურად, მაგრამ საკმაოდ „ახალტურებენ“ საერთო ბეღლიდან სხვის ნაშრომ-ნაოფლარს.

როგორია ყველა ამ პარაზიტების წლიური შემოსავალი? კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვეში იწერს 90 შრომის დღეს, მისი მოადგილე 70 შრ. დღეს, ვეტ. ექიმი 60 შრ. დღეს, უფროსი ბუღალტერი 60 შრ. დღეს, მოანგარიშე 30-40 შრ. დღეს, აგრო-ტეხნიკოსი 40-50 შრ. დღეს, საბავშვო ბაღის მასწავლებელი 30 შრ. დღეს, ხოლო წერილის დამრიგებელი 12 შრ. დღეს. ამ ვაჟბატონებისთვის არ არსებობს არც სუსხიანი ზამთარი, არც წვიმა ან თოვლი, როცა გლეხი გამცდარია, შრომა დღეები მათთვის დაზღვეულია: წელიწადი — 12 თვე, უკლებლივ. ამას გარდა სახელმწიფო გადასახადებიდან ნარჩენი შემოსავლის დიდი ნაწილი მათ საკუთარ ბეღელში შედის წლის ბოლოს, ხოლო ნამცეცები მოწყალებათ ეძლევა მუშას. სამაგიეროთ კოლმეურნე უხვათ იხდის სახელმწიფო გადასახადს: „სასოფლო სამეურნეო“, „თვით დაბეგვრა“, „კულტ-გამოსაღები“ და სხვა. ამ გადასახადებს ის იხდის, როგორც კოლმეურნეობის შემოსავლიდან, ისე კერძო მეურნეობის შემოსავლიდან: ორი საგადასახადო „ბლანკი“ ერთ და იმავე პირზე. ამის გარდა „ნებაყოფლობითი“ გადასახადი, ობლიგაციები — საბჭოთა ტანკის, გაზეთ „კომუნისტის“, საჰაერო ესკადრილიის, რემედასი, ასოვიახიმის, მებრძოლი ათეისტის და რომელიმე კაპიტალისტური საპყრობილეში „წამებულ პროგრესისტის“, რომელიც საპატიო წევრია კოლმეურნეობაში, ვთქვათ ტელმანი, ან სხვა.

კოლმეურნე მიუხედავათ მძიმე შეუსვენებელი შრომისა წლიდან წლამდე თითქმის მშიერია. მაგრამ ამას ყურს არავინ უგდებს. სიკვდილი ბუნების კანონია და არა შიმშილის. კოლმეურნეებმა შეშჩივლეს ზედამხედველებს: — შრომაზე უარს არ ვამბობთ, არც დიდ რაიმეს მოვითხოვთ ამ შრომისთვის, მაგრამ მშიერებმა როგორ უნდა ვიმუშავოთ. ისეთი ორგანიზაცია მაინც შეგვქმნათ, რომ პური გვექნესო. (ამ მწარე საჩივრის ინციატორი ციმბირში იქნა გაგზავნილი). პასუხი ადვილათ მოუძებნეს. — წადით საღამოს, მუშაობის შემდეგ, ბათომში, იყიდეთ პური და დილით სამუშაოზე მოდით, რომ გეგმა ვადამდე შევასრულოთო. სამი საათი ფეხით რკინისგზამდე, სამი საათი მატარებლით ბათომამდე, მთელი ღამე რიგში დგომა კილო პურისათვის და მეორე დილით კი ისევ სამუშაოზე „„გეგმის ვადამდე შესრულებისათვის!“ აი საბჭოთა სოციალიზმი, სტალინური მზით გამთბარი საამური ცხოვრება. ამის გამო ქართველმა გლეხმა ნაღვლიანად დაამღერა: — „იმუშავეთ ვირებო, ჭამეთ ბრიგადირებო“.

ქალთა შრომა დიდათ არის გამოყენებული საკოლმეურნეო მინდვრებზედ. მოსავლის აღება მთლიანად მათ ზურგზეა. ხოლო „აქტივ“ ქალთა მიერ აღებული ინიციატივით, ჩამორჩენილი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ბელადზე მიცემული პირობის განაღდებისათვის თოხი და ბარი შეაჩეჩეს ხელში ყველას და ოჯახს მთლიანად მოსწყვიტეს. სახლში გვიან საღამომდე ვერავის იპოვი, გარდა მცირე წლოვანი ბავშვისა. გაქრა ის ოჯახური სილამაზე, რომელსაც ქართველი მანდილოსანი ქართულ ოჯახს აძლევდა. შრომა და შრომა დღეები, მოუვლელი ქმარ-შვილი და გაუთავებელი შიმშილი! გამეფებულია პროსტიტუცია საკოლმეურნეო მინდვრებზედ და ამის გამო ოჯახური დრამა. „ამას რას ხედავს ჩემი თვალები, კოლექტივში ჩაწერილან ქვრივი ქალები“ ამოიკვნესა თავმოყვარე ქართველმა გლეხმა.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბების რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ხალხის ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლეული იქნა. საბჭოთა ორგანოებმა, ჩეკისტების უდიდესი „შრომით“, საკმარისად შესძლეს აელაპარაკებიათ გაძვალტყავებული ხალხი საამური ცხოვრების სადიდებლათ, იმ შეძლებული ცხოვრების სადიდებლათ, რომელიც მას მისცა საკოლმეურნეო წყობილებამ. — აღარ არის ღარიბი და დაჩაგრული! — გადაისროლა პარტიამ ლოზუნგი, — გაუმარჯოს საამური და ბედნიერი -ცხოვრების შემქნელს დიდ სტალინს! — უპასუხა გარეგნულ „ბედნიერებით“ აღფრთოვანებულმა, მაგრამ შინაგან ბოღმით და შურით აღსავსე ხალხმა. „ვინ რა იცის რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზედ მწარეა“-ო, დაიკვნესა ერთხელ ქართველმა პოეტმა. ამას კვნესის დღეს ხალხიც.

⁂

სოფლის „პასუხის მგებელნი“ ყოველგვარ საშუალებას ხმარობდენ, რომ თავის სასარგებლოთ აელაპარაკებიათ სხვადასხვა მიზეზებით დაჩაგრული-უკმაყოფილო პირები. ასეთებიც მრავლად იპოვებოდენ,, მაგრამ ხშირათ პატრონების იმედებს არ ამართლებდენ. ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი X, ცნობილი თავისი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინჯით და რატომღაც სულელად წოდებული, რის გამო ის მართლა აგდებული და დაჩაგრული იყო, როგორც სოფელში, ისე ოჯახში. მისი საქმე მხოლოდ შრომა იყო და საფასურად კი მხოლოდ კვება. ხშირათ გაიგონებდით სოფელში — მე X კი არ ვარ, რომ მთელი ცხოვრება შეუსვენებლივ ლუკმა პურისთვის ვიწვალოვო. სოფლის კომუნისტურმა ორგანოებმა, სხვებთან ერთად ამ X-აც მიმართეს კოლმეურნეობის სასარგებლო პროპაგანდისათვის და „სთხოვეს“ წარმოეთქვა სიტყვა მომავალ კრებაზე. ეთქვა თავის მეზობლებისათვის, თუ როგორ იტანჯებოდა ის საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე და როგორ გახდა ნამდვილი თავისუფალი მოქალაქე ამ რეჟიმის შემდეგ. როგორ დაფასდა მისი შრომა კოლმეურნეობის მიერ. თან არწმუნებდენ, რომ ის არც სულელია და არც მახინჯი. მომავალ კრებაზედ კოლ. თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ გაიხსნა „კამათი“. ხალხის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პირველი სიტყვა X-მა მოითხოვა. X-ის ჯერ წარმოუთქმელ სიტყვას წინასიტყვაობა გაუკეთა ადგილობრივი პარტკომის მდივანმა. — თქვენ წინ დგას — განაცხადა მან — ყველასათვის ცნობილი „სულელი“ (ირონიულად) X, რომელიც სტალინური გენიით გამთბარმა საკოლმეურნეო მშენებლობამ მოწინავე ადამიანათ აქცია და ჩააყენა სოციალისტური მშენებლობის ავანგარდში. (ტაში). რის შემდეგ სიტყვა X-ს დაუთმო.

— უწინ დაჩაგრული და აგდებული ვიყავი ყველას მიერ — დაიწყო X-მა — ჩემთვის კვირაც არ არსებობდა. ასეთი შრომის საფასურად კუჭი მაინც მაძღარი მქონდა. დღეს კოლმეურნეობაში ვმუშაობთ ზამთარ-ზაფხულ, ჩვენთვის არც კვირა არსებობს და არც დღესასწაული და მაინც მშიერები ვართ, მეზობლებო... აღშფოთებულმა თავმჯდომარემ სიტყვა შეაწყვეტინა და კრებას მიმართა — X-ის რომში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყველამ კარგათ იცის, რომ ის **სულელია.** ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას ასეთის თქმა არ შეეძლო სხვის უსწავლებლად. ჩვენ გვახსოვს ამხ. სტალინის გაფრთხილება: — „მტერმა ბრძოლის მეთოდი შეცვალა, აშკარა ბრძოლიდან ის შენიღბულ ბრძოლაზე გადავიდა და საკოლმეურნეო წყობილების აფეთქებას შიგნიდან ცდილობსო. — მტერი ჩვენს რიგებშია შენიღბული, ამხანაგებო, და მისი მითითებით და სწავლებით იქნა დღეს აქ წარმოთქმული ეს უმგვანო ცილისმწამებლური სიტყვა“. კრება დაიშალა. ყველა შეშინებული „შენიღბული მტრის“ აღმოჩენის მოლოდინში სახლისაკენ წავიდა. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ X-ის უბანში აღმოჩენილი იქნა ათიოდე ხალხის მტერი, რომლებიც გაგზავნილ იქნენ იქითკენ, საითკენაც წასული ათასობით გვინახავს, ხოლო დაბრუნებული კი არც ერთი.

იმ რაიონებში, სადაც გატარებულ იქნა მთლიანი კოლექტივიზაცია, კოლმეურნეობის გარეშე დარჩენ სწორედ უღარიბესი გლეხობა, რადგან მათი აზრით, ძნელი იქნებოდა „ენკავედეს“ ორგანოებისათვის მათდამი კულაკის ტიტულის მიკერება ან ყოფილი თეთრ-გვარდიელის მუნდირის ჩაცმევა, მაგრამ გავიდა დრო. შეიცვალა მეთოდები და ახლა კულაკის და თეთრ-გვარდიელის ნაცვლად გაჩნდა ე. წ. „ხალხის მტერი“, „მტრის მოსყიდული აგენტი“, „საბოტაჟისტი“, „მავნებელი“ და სხვა მრავალი... იციან ვის როდის და საიდან მოუძღონ!

საბჭოთა მწერლობაც აალაპარაკეს გლეხის საამურ, ბედნიერ ცხოვრებაზედ. დაიწერა უამრავი ლექსები, პოემები, ნოველები, რომანები თუ დრამატიული ნაწარმოებები.

მაგრამ დახე ბედის ირონიას. დამწერთაგან ზოგი შემდეგ მაინც ჩეკის სარდაფებში ჩაალპეს, ზოგმა კიდევ თვითმკვლელობით აიცდინა ტანჯვა-წამება, ზოგი კი თასმასავით გაქნეს და აიყოლიეს. ფორმალურად ყველაფერი მოაწესრიგეს. მიტინგები, კრებები, ლოზუნგები, პარადები, მილოცვები, ქება-დიდება დესპოტების მიმართ; მაგრამ ხალხი გულით ატარებს ბოღმას და ელის იმ დღეს, როცა ამ ბოღმას და გულის-წყრომას თავისუფალ გზას მისცემენ. და მაშინ ვაი მას, ვინც ამ ათეული წლების მანძილზე ხალხის ზურგზე შეუბრალებლად ჯირითობდა.

ახალი

................

## რეპრესიები საქართველოში

ამ უკანასკნელ დროს საქ. კომ. პარტიას და ადმინისტრაციის რიგებში დიდ „წმენდას“ ქონდა ადგილი. წმენდას ხელმძღვანელობდა თვით ბერია, სპეციალურათ ამ მიზნით ჩამოსული ტფილისში. გადაყენებულ იქნენ, მიღებულ ცნობების მიხედვით, ზოგიერთი წევრები საქ. კომ. მთავრობის და მასზე დაქვემდებარებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციათა მეთაურები. წმენდა შეეხო, რასაკვირველია, კომპარტიის რიგებსაც. გადაყენებულთა შორის ითვლებიან საქ. კომ. პარტიის მდივანი ბარამია, უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარე, სამართლის მინისტრი, მიწათ-მოქმედების მინისტრი, ჯანმრთელობის მინისტრი და სხ. ახალგაზრდა კომუნისტების გენერალური მდივანი შადური და სხვა. წმენდის მიზეზათ გამოცხადებულია გაძლიერება სისხლის სამართლის დანაშაულობის, სახელმწიფო ქონების ცარცვა-გლეჯის, კოლხოზებში მკვლელობის და გაფლანგვის და სხვა ასეთების.

გამოყონილი ცნობები კი, რამდენადაც მაზე შეიძლება დაყრდნობა, ამ ახალ, საყოველთაო რეპრესიების მიზეზათ ასახელებენ ერთი იმას, რომ საქართველოს მართველ წრეებში დაიბადა მისწრაფება ადგილობრივ საქმეების წარმართვაზე მაინც რაიმე უფლების მოპოების. დღემდე — საქართველოს მთავრობას მაგ. იმის უფლებაც არ აქვს, რომ აჭარის და გურიის ბაღებში მოყვანილი თუნდ ერთი კილო ციტრუსები, ფორთოხალი, მანდარინი და სხ. თბილისის ბაზარზე გაიტანოს, სანამ მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებისაგან ნებართვას არ მიიღებს, იმდენათ შეზღუდულია მისი უფლებები. უკიდურეს ცენტრალიზაციით ხალხში გამოწვეული უკმაყოფილება კი ადგილობრივ ხელისუფლების აწვება ყოველთვის და დავალებათა შესრულებას უძნელებს, ხალხში ნდობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მეორენი კიდევ იმასაც ამბობენ, რომ სტალინის მოსალოდნელი მემკვიდრეობის გახსნის წინ მოსკოვის თვითეული ბობოლა ცდილობს პარტიის და სახელმწიფოს აპარატის ხელში ჩაგდებას, მასში თავის ურყევათ ერთგულ პირების ჩაყენებით, ოდნავ საეჭვო პირების თავიდან მოცილებით; ისიც შესაძლებელია, ვფიქრობთ ჩვენ, რომ ორივე მიზეზი ერთმანეთს ერთვოდეს, რადგან ვის რათ უნდა თუნდ საწყალი ავტონომიის მაძიებელი ადმინისტრატორები და საკუთარ უფლებებზე დაყრდნობის სურვილამდე „გათავხედებულნი!“

ტოტალიტარული დიქტატურის მანქანა — ჯერ მუშაობს — ხრავს, თხრის საფლავებს. ვიმედოვნებთ, მალე შიგ თვითონ ჩავარდება...

### „წმენდა“ დაღესტანში და უკრაინაში

რუსულ გაზეთებში მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, რომ დაღესტანში სასტიკი „წმენდა“ წარმოებს სახელმწიფო და პარტიულ აპარატების — არაერთგულ ელემენტების აღმოსაფხვრელათ და „მხოხავთა“ გასაბატონებლათ.

ასეთივე „წმენდის“ დაწყებას იწერება გაზეთი — „პრავდა“-ც (31 მარტი) მთელს უკრაინაში. სჩანს ეს „მოარული სენი“ მთელ საბჭოებშია მოდებული...

---

## ზურაბ ჩხოტუას პარიჟში ჩამოსვლა

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ამერიკაში ზ. ჩხოტუა მაისის პირველ რიცხვებში პარიზში ჩამოვიდა. მან მოხსენება გაუკეთა მ თ ა ვ რ ო ბ ა ს და ქართულ ეროვნულ საბჭოს კომიტეტს. ჩვენ არ შეგვიძლია ვრცლათ მოვიყვანოთ მისი მეტად საყურადღებო მოხსენების შინაარსი, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია ერთი რამე აღვნიშნოთ: მის მიერ მოცემულ ცნობებიდან სავსებით გამართლებულია ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც ქართულ მეთაურობის მიერ იქნა აღებული ამ ბოლო დროს.ბ-ნ ჩხოტუას დაფასებით ამერიკული კომიტეტი წარმოადგენს ერთად-ერთ ორგანიზმს, სადაც თავმოყრილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა ანტიბოლშევიკურ მოძრაობის სფეროში და ამ მიმართულებით უნდა იყოს თავმოყრილი და დარაზმული როგორც რუსის, ისე ყველა დაჩაგრულ ეროვნებათა ენერგია და ყურადღება.

---

ამავე ხანებში პარიზს ესტუმრა მეორე წარმომადგენელი ს. მენაღარი სტამბოლიდან, რომლის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება იქნა მოსმენილი კომიტეტის მიერ.

---

## მოლაპარაკება ერებთან

კავკასიურ ერებთან მოლაპარაკება საერთო მოქმედების ხაზის გამოსამუშავებლათ დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს. შემუშავებულია ორგანიზაციული ფორმა თანამშრომლობისა მუდმივ ცენტრის სახით.

კომიტეტის დადგენილებით მიღებულია ზომები, რომ ახლო მომავალში გამოიცეს ჟურნალი ინგლისურ-ფრანგულ ენაზე.

კომიტეტმა აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა შეიმუშავოს ტეხნიკური საკითხები საბჭოს ახალი სესიის მოსაწვევათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რადიო საბჭოთა ერებისათვის

ვისბადენში დაწყებული პოლიტიკური ანტი-ბოლშევიკური მუშაობის ორგანიზაცია გრძელდება. ახლო მომავალში, როგორც გვატყობინებენ, უნდა გაიხსნას რადიო გადაცემის პოსტი.

ამერიკული კომიტეტის თანხმობით ვისბადენის თათბირის ყველა მონაწილეთ, ერებსა და ორგანიზაციებს დაეგზავნა მისი თავმჯდომარის ბ. ნ. ცინცაძისაგან მიმართვა, რომლითაც წინადადებას აძლევს მათ, დაუყონებლივ შექმნილ იქნეს დროებითი კომიტეტი რადიო გადაცემის სახელმძღვანელოთ, სანამ საერთო პოლიტიკური ცენტრი შესდგებოდეს.

................

## ვისბადენი და ჩრდილო-კავკასიელები

ვისბადენის ხაზს დღეს ყველა დიდი და მცირე ერითა პასუხისმგებელი წრეები იზიარებენ. არსებობენ მოწინააღმდეგენიც.

ჩრდილო-კავკასიელებშიც ორი მიმდინარეობა იბრძვის. მომხრეთა ბანაკს მეთაურობს ახალი ემიგრანტი, ცნობილი მწერალი ბ. ავტორხანოვი (ურალოვი), მოწინააღმდეგეთა რიგების სათავეში უდგია არანაკლებ ცნობილი პოლიტიკური ჟურნალის „კავკაზი“-ს ხელმძღვანელები.

რამდენიმე თვის გააფთრებული ბრძოლის შედეგათ, როგორც თვით „კავკაზი“ აღიარებს ე. წ. „ჩრდილო-კავკასიის ეროვნული ცენტრს“ გამოყოფია ხუთი წევრი და გვერდში ამოდგომიან ბ. ავტორხანოვს. ესენია: ბ.ბ. ბირალოვი, ეგელსხანოვი, ს. ომასოვი, ახტაი ოგლუ და აიბაზოვი.

პოლიციურ ბანაკს აკლდება, პოლიტიკურს ემატება.

## მარიამ მამულაიშვილი

ამა წლის 7 მაისს ლევილის სასაფლაოს მივაბარეთ კიდევ ერთი გადმოხვეწილობის მსხვერპლი, ტრაგიკულად დაღუპული ქ-ნი მარიამ მამულაიშვილისა.

ჩვენი დროის ნამდვილი ქართველი დედა; ყველა დევნილთა და დაჩაგრულთა გულშემატკივარი; კეთილშობილების განსახიერება; სათნოების და სიყვარულის დაუშრეტელი საუნჯე. ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ეგაჩნდა, რომ ოჯახური ბედნიერებით დამტკბარიყო და განცხრომაში გაეტარებია მოხუცების დღეები. მაგრამ მისმა კეთილშობილურმა სავსე გულმა არ იკმარა ოჯახის სითბო და პირადი ბედნიერება. ის განუსაზღვრელი სიმწვავით განიცდიდა სამშობლოს დაკარგვას და იქ დარჩენილი თავისიანების დ ა შ ო რ ე ბ ა ს. ვერ შეურიგდა საყვარელ ქმრის ლევანის დაკარგვას და დაუზოგველად, უზიარებლად მოუღო თავის სიცოცხლეს ბოლო. უყოყმანოთ მიაშურა ცივ სამარეს, სადაც საყვარელი დედა და ქმარი ეგულებოდა. დაობლდა შვილები, რომელთაც ნუგეშად ის დარჩენიათ, რომ ბოლომდე თავდავიწყებით ემსახურეს დედის ბედნიერებას. რამდენია, ჩვენს სინამდვილეში, ისეთი შვილი, რომელსაც ბედმა არ დააცალა მოხუცი დედის უკანასკნელი წლები მშობლიური სიყვარულის მადლიანი სხივებით გაეთბო? ჩვენ გვესმის მათი მწარე ქვითინი და ვუერთდებით მათ გლოვას, იმ რწმენით, რომ დაუვიწყარი მარიამ აწ „მართალთა სამეფოში“ განისვენებს.

დასაფლავებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება. სასაფლაოზე გამოსათხოვარი გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა კ. გვარჯალაძემ.

ვ.

---

### რედაქციისაგან

უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისათვის დასასრული მოხსენებისა: **„იურიდიული მდგომარეობა საქართველოსი“.**

---

## ოპერა „დემონი“

ხუთშაბათს, 5 ივნისს, 8 სათ. 45 წუთ. თეატრ „იენაში“, დაიდგმება ოპერა „დემონი“. დირექცია კორგანოვისა. ლეკურს ითამაშებენ ძმები კობახიძეები.

ჟურნალ **„მებრძოლი საქართველო“**-ს რედაქცია მოთავსებულია:

9, Rue JOBBÉ DUVAL. — Paris 15·
Tél.: VAU. 25-14

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს აღნიშნული მისამართით.

Directeur responsable: Nic. Ourouchadzé, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.